საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 3 დეკემბერი, 2015 წელი.

№227 (7872)

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

პრეზიდენტ-ყოფილის მიერ ჩადებული თურქული ნაღმი

სააკაშვილი, ტერორისტული ორგანიზაცია „რუხი მგლები“ და 3200 რადიკალი ისლამისტი...

მიხეილ სააკაშვილმა თურქეთს სრული ჰეგემონია მისცა აჭარაზე და საქართველოს ბათუმისა და თბილისის აეროპორტები თურქულ კომპანიას ჩააბარა, სწორედ ამ აეროპორტების დახმარებით, მიხეილ სააკაშვილის უშუალო დავალებით ყოფილი თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი დაჯგუფება „რუხ მგლებს“ იარაღით ამარაგებდა.

7

ნანა დევდარიანი

4

დასავლეთსა და ამერიკას ისლამური სახელმწიფოს ბოლომდე ამოშანთვა არ სურთ!

სოჭის ოლიმპიადამ დაგვანახვა, როგორ კოორდინირებულად იმუშავეს რუსეთისა და საქართველოს სპეცსამსახურებმა

3

როგორ დავაღწიოთ თავი რუსეთ-თურქეთის ეკონომიკურ ტყვეობას?

6

ზაირა არსენიშვილი – გულმართალი, კალამბასრი მწერალი

11

5

ხელისუფლება მინას საარჩევნოდაც დასნავს

ადამ მიხნიკი:

როგორ გავუმკლავდეთ პუტინის საფრთხეს?

4

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ ნეტარ არიან მორწმუნენი

მაინც, რა იმალება ამ ცარიელი სიტყვების რახარუხის მიღმა?

საძართველოში აშშ-ის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის იან კელის განცხადებით, აშშ სრულად უჭერს მხარს საქართველოს ნატოსკენ მისწრაფებას.

მან ეს განცხადება ჟურნალისტებთან საუბრისას იმ დოკუმენტზე დასმული შეკითხვის კომენტირებისას გააკეთა, რომელიც ბრიუსელში მიმდინარე ნატოს მინისტერიალის ფარგლებში ალიანსის წევრმა სახელმწიფოებმა გუშინ მიიღეს.

„ნატოს სახელით ვერ ვისაუბრებ, რადგან ალიანსის ელჩი არ ვარ, თუმცა შემიძლია აღვნიშნო, რომ აშშ სრულად უჭერს მხარს საქართველოს ნატოსკენ მისწრაფებებს.

სრულად ვუჭერთ მხარს ნატოს ღია კარის პოლიტიკას და მივიჩნევთ, რომ საქართველოს აქვს ყველა პრაქტიკული ინსტრუმენტი, რაც ნატოს წევრობისთვის არის საჭირო“, — განაცხადა იან კელიმ.

მისივე თქმით, საქართველომ უნდა გააგრძელოს ის პოლიტიკა, რომელსაც ატარებს. ასევე უნდა გაგრძელდეს ნატოსთან თანამშრომლობა, განსაკუთრებით — უელსში მიღებული ნატოს არსებითი პაკეტის ფარგლებში.

„თუ მონტენეგროს MAP-ს მიანიჭებენ, ეს მხოლოდ გააძლიერებს მოსაზრებას, რომ ნატო თავისი პოლიტიკის ერთგულია, რომ ნატოს გაფართოების პოლიტიკა კვლავ ძალაშია, რომ ნატო აგრძელებს ღია კარის პოლიტიკას. საქართველო ამ გზაზე დგას, ხოლო ჩვენ 2008 წელს მიღებული გადაწყვეტილების ერთგული ვრჩებით, რომლითაც დადასტურდა, რომ თქვენი ქვეყანა ალიანსის წევრი გახდება“, — აღნიშნა იან კელიმ.

* * *

ნატო საქართველოს ევროატლანტიკურ მისწრაფებებს მხარს უჭერს, — განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა ბრიუსელში, მონტენეგროს საგარეო საქმეთა მინისტრთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე.

„ნატოს ღია კარის პოლიტიკა ძალიან წარმატებულია. ის ერთმანეთს ერთიანი, თავისუფალი და მშვიდობიანი ევროპის ხედვის რეალიზებისკენ გვაახლოებს. ნატოს გაფართოება ხელს უწყობს რეფორმებს, აძლიერებს კოლექტიურ უსაფრთხოებას და უზრუნველყოფს სტაბილურობას, რომელიც კეთილდღეობის საფუძველია. გაფართოების პოლიტიკას ისე ვატარებთ, რომ სუვერენულმა სახელმწიფოებმა უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკუთარი მექანიზმების შექმნა შეძლონ. ნატოს კარები ღიაა და დღევანდელი გადაწყვეტილებაც ამას ადასტურებს. ბოსნია და ჰერცეგოვინა, საქართველო, ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია ასევე განიცდიან პროგრესს ნატოში გაწევრიანების გზაზე.

ჩვენ კვლავ ერთგული ვრჩებით წევრობის გზაზე ამ ქვეყნების მისწრაფებებისა. რაც შეიძლება, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მათ მიზნების მიღწევაში დავეხმაროთ და თითოეულ კანდიდატ ქვეყანას შესაბამისად შევაფასებთ. მათ მოვუწოდებთ, რეფორმების გზა გააგრძელონ“, — განაცხადა იენს სტოლტენბერგმა.

* * *

ბრიუსელში გამართულ მინისტერიალზე ალიანსის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა **ღია კარის პოლიტიკაზე ერთობლივი განცხადება მიიღეს. დოკუმენტი 14-პუნქტიანია და 4 მთლიანად საქართველოს ეძღვნება.**

განცხადებაში წერია, რომ საქართველოს ურთიერთობა ალიანსთან მოიცავს ყველა პრაქტიკულ იარაღს წევრობის მოსამზადებლად. NATO ასევე მოუწოდებს საქართველოს განაგრძოს ყველა შესაძლებლობის გამოყენება ალიანსთან უფრო მეტად დაახლოების მიზნით. განცხადებაში ასევე წერია, რომ ალიანსი ახალ პრაქტიკულ გზებს მოიძიებს მხარდაჭერის გასაძლიერებლად მაღალი დონის პოლიტიკური დიალოგისა და გაზრდილი თანამშრომლობის მეშვეობით.

ნატო აღიარებს საქართველოს ძალისხმევას დემოკრატიის გაძლიერებისათვის, მათ შორის სასამართლო და უსაფრთხოების სამსახურებში, ჯარის მოდერნიზებასა და თავდაცვით ინსტიტუტებში.

„ვითვალისწინებთ ბოლოდროინდელ მოვლენებს მედიის თავისუფლებისა და კანონის უზენაესობის შესახებ, მოვუწოდებთ საქართველოს შეინარჩუნოს ძალისხმევა რეფორმების განხორციელებაში, რის მხარდაჭერასაც ჩვენ განვაგრძობთ“, — აღნიშნულია ოფიციალურ წერილში.

NATO მაღალ შეფასებას აძლევს საქართველოს მონაწილეობას ალიანსის რეაგირების ძალებსა და ავღანეთის ოპერაციებში, ასევე აფასებს ქართველი ხალხის მიერ გაღებულ მსხვერპლსა და წვლილს უსაფრთხოებისთვის.

NATO მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს მის საერთაშორისო საზღვრებში. ალიანსი მიესალმება საქართველოს ვალდებულებას, არ გამოიყენოს ძალა და მოუწოდებს რუსეთს ანალოგიური ნაბიჯი გადადგას. ასევე NATO მოუწოდებს რუსეთს გააუქმოს საქართველოს რეგიონების სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლად ცნობა და გაიყვანოს მისი ჯარები საქართველოდან.

NATO არ აღიარებს ე.წ. რუსეთის შეთანხმებებს საქართველოს რეგიონებთან აფხაზეთთან (2014 წლის ნოემბერი) და სამხრეთ ოსეთთან (2015 წლის მარტი).

„ეს შეთანხმებები არღვევს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას და არღვევს საერთაშორისო სამართლის ნორმებს“, — აღნიშნულია წერილში.

◎ „კანონმორჩილნი“

ჯარჯი აქიმიძე და დავით დვალი „რუსთავი-2“-ის დროებითი მმართველების სტატუსის გაუქმებას ეხმიანებიან

ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის დამფუძნებლები დავით დვალი და ჯარჯი აქიმიძე განცხადებას ავრცელებენ სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 20 ნოემბერს მიღებული განჩინების თაობაზე, რომლითაც „რუსთავი-2“-ის დროებითი მმართველის დანიშვნის გადაწყვეტილება გაუქმდა.

დავით დვალი და ჯარჯი აქიმიძე აცხადებენ, რომ გაუქმებული დროებითი მმართველის სტატუსის მიუხედავად, თავს მოვალედ მიიჩნევენ, რომ მომავალში აქტიური მონაწილეობა მიიღონ „რუსთავი-2“-ის ირგვლივ განვითარებულ ნებისმიერ პროცესში, რათა ხელი შეუწყონ სამართლიანობის სრულ აღდგენას.

„1. როგორც კანონმორჩილი მოქალაქეები, ვემორჩილებით სასამართლოს გადაწყვეტილებას, მიგვაჩნია, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში მხოლოდ დამოუკიდებელი სასამართლოს განჩინება მოითხოვს აღსრულებას, მიუხედავად იმისა, ეთანხმება თუ არა მას ერთერთი მხარე; 2. ჩვენი თანხმობა, დავნიშნულიყავით დროებითი მმართველის თანამდებობაზე, განაპირობა „რუსთავი-2“-ის ირგვლივ შექმნილმა რთულმა ვითარებამ — ინფორმაციამ მოსალოდნელი არეულობის, დესტაბილიზაციისა და ბარიკადების აღმართვის შესახებ. მიგვაჩნია, რომ დაუშვებელია ჩვენი ყოფილი და მომავალი თანამშრომლების გამოყენება ნებისმიერი სახის პოლიტიკურ პროვოკაციაში; 3. ამ დაძაბულ ფონზე, ქიბარ ხალვაშის მიერ პირველ ინსტანციაში მოგებულმა პროცესმა დააჩქარა ჩვენ შორის სამომავლო მოლაპარაკება. მომავალი პარტნიორისგან მივიღეთ წინადადება — სასამართლო პროცესის სრულად და წარმატებით დასრულების შემდეგ კომპანიის 50 პროცენტის მფლობელობა და დირექტორის პოსტი. მიგვაჩნია, აღნიშნული შემოთავაზება სრული გარანტიაა იმისა, რომ მომავალში „რუსთავი-2“ გახდება დამოუკიდებელი, არაპარტიული და კრიტიკული მედიასაშუალება, რომლის ფუნქციონირების პრინციპები ჩვენ ერთობლივად ჩამოვაყალიბეთ ამა წლის 6 ნოემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე; 4. მიუხედავად გაუქმებული დროებითი მმართველის სტატუსისა, თავს მოვალედ ვთვლით, მომავალში აქტიური მონაწილეობა მივიღოთ „რუსთავი-2“-ის ირგვლივ განვითარებულ ნებისმიერ პროცესში, რათა ხელი შეუწყოთ სამართლიანობის სრულ აღდგენას; 5. ჩვენ, „რუსთავი-2“-ის კანონიერი მფლობელები, რომლებსაც 2004 წელს მაშინდელმა ხელისუფლებამ იძულებით და ზეწოლით, ჩვენი ნების საწინააღმდეგოდ დაგვათმობინა ტელევიზიის საკონტროლო პაკეტი, გადააქცია ქვეყნის ნომერ პირველი მედიასაშუალება ნაცმოძრაობის პოლიტიკურ იარაღად და პროპაგანდისტულ მანქანად, ყველა კანონიერ უფლებას გამოვიყენებთ, რომ ჩვენი დაბრუნებით ტელევიზიას, მის ჟურნალისტურ, შემოქმედებით და ტექნიკურ შემადგენლობას მიეცეს საშუალება რეალურად შეასრულოს მასზე დაკისრებული რთული, მაგრამ საპატიო ამოცანა — ქვეყნის დემოკრატიული განვითარების, ევროატლანტიკური კურსის გატარების და მეთვალყურის (ვოჩდოგი) ფუნქციის წარმატებით განხორციელების საქმეში“, — ნათქვამია აქიმიძისა და დვალის განცხადებაში.

საჯარო მოხელეები პრემიას მხოლოდ კვარტალში ერთხელ იღებენ

იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის განცხადებით, სამინისტროებში დანამატების სისტემა მთლიანად ვერ მოიშლება, რადგანაც სახელმწიფო საჯარო მოხელეებზე დგას, — ამის შესახებ იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა. **როგორც მინისტრმა განმარტა, პრემიერის ინიციატივით საჯარო დაწესებულებებში პრემიების სისტემა გადაიხედა. შესაბამისად, პრემია არც ერთ სამინისტროში არ გაიცემა, თუ პრემიერის მიერ გამოცემულ აქტთან არ არის შესაბამისობაში.**

მისი თქმით, პრემიების ოდენობა და რიცხვიც შეცირდა. შესაბამისად, საჯარო მოხელეები პრემიას მხოლოდ კვარტალში ერთხელ იღებენ.

„მე წელს არცერთი თეთრი პრემიის სახით არ ამიღია და ვიცი, რომ თუკი ავიღებ, ამას შეიძლება მოჰყვეს კითხვის ნიშნები. რაც უნდა ბევრს და კარგად ვმუშაობდე, პრემია, რომელიც კითხვებს გამოიწვევს, არ მინდა, ისე ვიმუშავებ ჩემი ქვეყნის პროგრესისთვის“, — განმარტა იუსტიციის მინისტრმა.

წულუკიანმა მინისტრების ხელფასზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ დღეს სამინისტროების ხელმძღვანელები ხელფასის სახით 5 000 ლარს იღებენ, რაც სხვადასხვა ქვეყნის მინისტრებთან შედარებით მოკრძალებული თანხაა.

◎ „მე მაქვს ეჭვის საფუძველი“...

ირმა ინაშვილი საგანგებო განცხადებას ავრცელებს

„პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი ირმა ინაშვილი საგანგებო განცხადებას ავრცელებს. ინაშვილის თქმით, საგარეჯოს რაიონში „პატრიოტთა ალიანსის“ რეკლამები, რომელიც შუალედური არჩევნების წინ, მედიაკავშირ „ობიექტივზე“ და სხვა ტელევიზიებზე იყო განთავსებული, მიზანმიმართულად იბლოკებოდა.

როგორც გაირკვა, კოჯრის სარეტრანსლაციო ანძაზე დამონტაჟებული იყო მიკროტალღური გამომსხივებელი, რომელიც ტელეკომპანიების სიხშირეებს უკანონოდ ბლოკავდა. ინაშვილის განცხადებით, აღნიშნული ანძა თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაშია.

„ჩვენს ხელთ არის ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც მედიას და საზოგადოებას ძალიან დააინტერესებს.

ჩვენს პოლიტიკურ პარტიას განთავსებული ჰქონდა საარჩევნო რგოლები, ჩემი, როგორც კანდიდატის სარეკლამო რგოლები. ეს იყო ფასიანი რეკლამა მედიაკავშირ „ობიექტივში“. როგორც იცით, მე ვიყავი „ობიექტივის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, თუმცა დღეს აღარ ვარ.

არჩევნების მსვლელობისას ჩვენ სისტემატიურად გვიკავშირდებოდა საგარეჯოს მოსახლეობა და გვეუბნებოდა, რომ საგარეჯოში არ არის ხარისხიანი მაუწყებლობა, ან საერთოდ არ იყო მაუწყებლობა. ჩვენ ვიხდიდით თანხას პოლიტიკურ რეკლამაში, რომელსაც ამომრჩეველი ვერ ნახულობდა, ანუ იზღუდებოდა ინფორმაცია საზოგადოებისთვის. არჩევნების შემდეგ ჩვენ დავიწყეთ ამ საკითხის შესწავლა, მივმართეთ იმ კომპანიას, რომელიც გვემსახურებოდა, ანუ მედიაკავშირ „ობიექტივს.“ მედიაკავშირმა „ობიექტივმა“ მიმართა „სტერეოს“, რომელიც ავრცელებს ამ ტელევიზიის და სხვა ტელეკომპანიების ციფრულ მაუწყებლობას.

როდესაც ოფიციალური ინფორმაცია მივიღეთ, აღმოჩნდა გამაოგნებელი რამ. ამ წერილში პირდაპირ წერია:

„კოჯრის სარეტრანსლაციო ანძიდან საგარეჯოს მიმართულებით დამონტაჟებული იყო მიკროტალღური გამომსხივებელი, რომელიც დაკავებულ სიხშირულ ზოლში უკანონოდ ქმნიდა ხელოვნურ ხელისშემშლელებს, რითაც პრობლემა ექმნებოდა მაუწყებლობას მთელს რეგიონში.

კოჯრის სარეტრანსლაციო ანძიდან ხელოვნურად ახშობდნენ მაუწყებლობას მაინც და მაინც საგარეჯოს მიმართულებით. ჩემი ინფორმაციით, კოჯრის ანძა არის თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე. მე მაქვს ეჭვის საფუძველი, ვივარაუდო, რომ ღია საეთერო მაუწყებლობას თავდაცვის მინისტრის ბრძანებით ახშობდნენ.

პროკურატურას ამ დღეებში აუცილებლად მივმართავთ და თუ ეს დამტკიცდება, ეს არის დანაშაული!

პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ამ წერილით დადასტურებულია ტელემაუწყებლობის უკანონო ჩახშობა. აქ არ არის საუბარი მხოლოდ ტელეკომპანია „ობიექტივზე.“ სხვა ტელევიზიებსაც ანალოგიური პრობლემა ჰქონდა შექმნილი.

მაქვს ინფორმაცია, რომ ის შენობა, სადაც განთავსებულია კოჯრის სარეტრანსლაციო ტექნიკა, ასევე არის თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე.“ — განაცხადა ინაშვილმა.

◎ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲢᲔᲠᲝᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

ᲕᲘᲓᲔᲝᲮᲘᲓᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ-ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ:

ᲡᲝᲭᲘᲡ ᲝᲚᲘᲛ�პᲘᲐᲓᲐᲛ ᲓᲐᲒᲕᲐᲜᲐᲮᲕᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲙᲝᲝᲠᲓᲘᲜᲘᲠᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲘᲛᲣᲨᲐᲕᲔᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲞᲔᲪᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲛᲐ

„ᲘᲡᲚᲐᲛᲣᲠᲘ სახელმწიფო სამხედრო თვალსაზრისით ადვილი დასამარცხებელია, მაგრამ შედარებით რთულია მასთან იდეოლოგიური გამკლავება. ქრისტიანებისგან განსხვავებით, ისლამური სახელმწიფოს მიმდევრებს „არც რცხვენიათ“ ილაპარაკონ საკუთარ რწმენაზე, რელიგიაზე... ისლამისტებმა იგრძნეს, რომ ქრისტიანული სამყარო მოიკოჭლებს საკუთარ რწმენაში. ადამიანი ხომ მხოლოდ მერკანტილური მიზნებისთვის არ არსებობს, მას უნდა, გაიგოს თავისი ცხოვრების აზრი“...

ᲔᲡ სიტყვები ეკუთვნის **აჟდარ კურტოვს,** ჟურნალ „ეროვნული სტრატეგიის პრობლემების“ მთავარ რედაქტორს, რომელმაც „რია-ნოვოსტის“ მიერ ორგანიზებულ მოსკოვი-თბილისის ვიდეოხიდში მიიღო მონაწილეობა. იმ ყველაფრის შემდეგ, რაზეც ექსპერტებმა შეხვედრაზე ისაუბრეს ტერორიზმის საფრთხეებთან დაკავშირებით, ეს ფრაზები ერთობ ლირიული გამოჩნდა. მაგრამ როცა იმ მიზეზებზე არის საუბარი, რასაც „ველურების“ შექმნილი „სიკვდილის მანქანა“ დაეფუძნა, და რომელიც მთელ სამყაროს შთანთქმით ემუქრება, იქნებ ასეთ „ღრმა ფესვებზე“ დაფიქრება ღირდეს?!

ვიდეოხიდი მოსკოვი-თბილისი თემაზე: **„საერთაშორისო ტერორიზმი, საფრთხე „დიდი კავკასიის“ რეგიონისთვის“** საერთაშორისო პრესცენტრ „რიანოვოსტში“ გაიმართა. თუ რატომ ჩაისვა ბრჭყალებში „დიდი კავკასია“, დისკუსიის მიწურულს უფრო ცხადი გახდა, როცა აჟდარ კურტოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ თურქეთი, ეს იგივე კავკასიაა! თუკი რუსეთის მიზნებს გავითვალისწინებთ კავკასიაში, ე. ი. თურქეთიც მისი იმპერიული მიზნების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია... მაგრამ დისკუსიის დროს ამგვარმა დეტალებმა ბევრად უკან გადაიწიეს იმ ფონზე, რაც ამ წუთას რუსეთ-თურქეთს შორის ხდება.

ისლამური სახელმწიფოს რიგებში დღეისთვის 7-დან 10 ათასამდე პოსტსაბჭოთა სივრცის ყოფილი მოქალაქე იბრძვის, საქართველოს სამი რეგიონალური დაჯგუფებიდან კი ასზე მეტი კაცია გასული, ისლამური სახელმწიფოს რამდენიმე ლიდერი კი პანკისის ხეობიდანაა. რა შეიძლება გაკეთდეს „დიდი კავკასიის“ რეგიონში ტერორისტული საფრთხის მინიმალიზაციისთვის? — ამ კითხვაზე რუს და ქართველ ექსპერტებს საერთო პასუხი აქვთ — **ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲢᲔᲠᲝᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ!**

„რეგიონული უსაფრთხოების კავკასიის ინსტიტუტის“ დირექტორი **ალექსანდრე რუსეცკი** მიიჩნევს, რომ გაერთიანებული ძალისხმევაც ვერ უშველის ტერორიზმს, თუკი მასთან ბრძოლის მეთოდები არ შეიცვლება: **„ტერორიზმის პრევენციისთვის საჭიროა ახალი მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება. ეს ტრადიციული მიდგომები აღარ იმუშავებს, რაღაც ინოვაციური ხედვა უნდა შევიმუშაოთ. ჩვენ არ შეგვიძლია თურქეთის ფაქტორის იგნორირება. ახლა არ არის იმის დრო, ვეძებოთ წარსულში დამნაშავეები, არამედ სამოქმედო სტრატეგიაზე რეგიონალურ ჭრილში უნდა ვიმოქმედოთ“.**

თუმცა, „წიაღსვლების“ გარეშე მაინც არ ჩაუვლია დისკუსიას. „კავკასიის ისლამური კვლევების ცენტრის“ დირექტორი **შოთა აფხაიძე** სალაფისტების გაძლიერებაში სააკაშვილის ხელისუფლებას ადანაშაულებს: **„პრობლემა ყოფილი ხელისუფლების დროს დაიწყო, რადგან სწორედ სააკაშვილის ხელით ხდებოდა მათი ხელშეწყობა და გაძლიერება. მაშინ დაიწყო საქართველოს მოქალაქეობის პასპორტების დარიგება და სწორედ ასეთი პასპორტით 300-მდე ადამიანი მოხვდა სირიაში. სირიის ხელმძღვანელობამ განაცხადა კიდეც, საქართველოში ტერორისტების ბაზებიაო... სააკაშვილის „პიარ-აქციის“ წყალობით მარტო თურქეთის 3 ათასმა მოქალაქემ მიიღო ჩვენი პასპორტი, აქედან 200-მდე ადამიანი შემჩნეული იყო ექსტრემისტებთან თანამშრომლობაში. როდესაც ეს ციფრები გამოვაქვეყნე, შეაფასეს, როგორც პუტინის დაკვეთა, არადა, რეალობა სწორედ ასეთი იყო.**

სამწუხაროდ, დღესაც მუშაობენ ძალოვან სტრუქტურებში, სპეცსამსახურებში ის ადამიანები, რომლებიც სალაფისტების გაძლიერებას უწყობდნენ ხელს, მათ შორის, ზოგიერთებს მფარველობდნენ ამერიკელებიც, რა თქმა უნდა, ეს ადამიანები ყოველთვის ეცდებიან დეტალების მიჩქმალვას“...

რუსი ექსპერტები ამ ამბავში მხოლოდ სააკაშვილის მმართველობის დადანაშაულებას როდი დაეთანხმნენ. რუსეთის აღმოსავლთმცოდნეობის ინსტიტუტის ექსპერტმა **ანდრეი არეშევმა** აღნიშნა, რომ, **„ტერორისტული ორგანიზაციები 90-იანი წლებიდან მოქმედებდნენ ჩეჩნეთში, რომლებიც პანკისის ხეობასაც იყენებდნენ. ეს პრობლემა ედუარდ შევარდნაძის დროსაც აქტუალური იყო. ყოველთვის არსებობდა საერთაშორისო ტერორიზმი და იარსებებს კიდეც, ვიდრე იარსებებს გეოპოლიტიკური ინტერესები. მაგრამ აქ მთავარია თანამშრომლობა. სოჭის ოლიმპიადამ კარგად დაგვანახვა, თუ როგორ კოორდინირებულად იმუშავეს რუსეთისა და საქართველოს სპეცსამსახურებმა, ანუ ამის მაგალითი გვაქვს. აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში კავკასიაში ტერორისტულმა აქტივობებმა იკლო, რაც კარგი ტენდენციაა. რა თქმა უნდა, გლობალური ტერორიზმის წინააღმდეგ რუსეთი ევროპასა და აშშ-სთან უნდა გაერთიანდეს, მაგრამ, ჩემი აზრით, თუკი ეს ქვეყნები ერთმანეთს ეჭვის თვალით ყურებას დაუწყებენ, თანამშრომლობა გართულდება“.**

აჟდარ კურტოვის თქმით, რადიკალურმა ისლამმა მსოფლიოში არასტაბილური ზონები შექმნა, თუმცა, ამ ყველაფერში ძალიან დიდ როლს თამაშობს ის ფინანსები, რომელსაც ეს ორგანიზაცია ფლობს. **„მე ვგულისხმობ კონტრაბანდას, რომლის ლიკვიდაციაზეც შეეძლო ეფექტიანად ეზრუნა თუნდაც ერდოღანის ხელისუფლებას, ისლამურ სახელმწიფოზე საუბრისას ამერიკის ფაქტორის გაუთვალსწინებლობა, დიდი გულუბრყვილობა იქნებოდა... ჩვენ ნუ გვავიწყდება, რაოდენ დიდი გეგმები ჰქონდა ათათურქს — ოსმანთა იმპერიის შექმნის თაობაზე და ამ გეგმის განხორციელების შანსი მიეცათ თურქებს სსრკ-ის დაშლის შემდეგ... ასე რომ, გლობალურმა ინტერესებმა დღეს დიდი ამოცანის წინაშე დაგვაყენა, რომლის გადაწყვეტაც ერთ სახელმწიფოს, ბუნებრივია, გაუჭირდება“,** — ამბობს ის.

სამხედრო ექსპერტმა ვახტანგ მაისაიამ ახსენა ელიტური კორუფცია, რომელიც, მისი თქმით, ტერორიზმის მასაზრდოებელია. **„თუნდაც პარიზის ტერაქტმა დაგვარწმუნა იმაში, რომ ტერორისტები კარგად იყვნენ მომზადებულები, საჯარო სტრუქტურების ხელშეწყობის გარეშე, ისინი ამას ვერ მოახერხებდნენ. ანუ სწორედ კორუფციული გარიგებების წყალობით აღწევენ ტერორისტები დასახულ მიზანს. აუცილებელია გაერთიანება, რაღაც კომისიის შექმნა, ანტიტერორისტული ცენტრის შექმნა, რათა დაიდოს ერთიანი სტრატეგია, რას აპირებს დანარჩენი სამყარო ისლამურ ხალიფატთან დასაპირისპირებლად“.**

ექსპერტები შეთანხმდნენ, რომ ნეიტრალურ ზონაში, ან საქართველოში მოხდეს რუსი, თურქი, ქართველი და სხვა მეზობელი ქვეყნების ექსპერტების შეხვედრა, სადაც კიდევ უფრო კომპეტენტურად გაანალიზდება ტერორიზმის საფრთხეები.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ᲔᲥᲡ�პᲔᲠᲢᲔᲑᲛᲐ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚ ᲕᲘᲓᲔᲝᲮᲘᲓᲨᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲐᲜ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲭᲔᲠᲘ ᲞᲘᲐᲠ-ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲬᲐᲛᲒᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲬᲕᲝᲓᲔᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡᲙᲔᲜ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ.

ᲗᲔᲐ ᲛᲝᲡᲘᲐ

◎ ᲐᲚᲘᲐᲜ-ᲩᲐᲚᲘᲐᲜᲘ

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲦᲕᲘᲜᲯᲘᲚᲘᲐ: ᲛᲪᲘᲠᲔ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ ᲐᲡᲝ „ᲒᲘᲠᲩᲘᲡ“ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲚᲔᲑᲡ!

ᲔᲜᲐᲗᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲦᲕᲘᲜᲯᲘᲚᲘᲐ პოლიტიკური გაერთიანება „გირჩის“ დამფუძნებლებს სოციალურ ქსელში ეხმიანება.

„მცირე შენიშვნა ასო (არასამთავრობო ორგანიზაცია) „გირჩის“ დამფუძნებლებს!

ამ დღეებში შევიტყვე, რომ დაგიფუძნებიათ ასო „გირჩი“.

მე, ცხადია, ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს.

სახელის არჩევა და დარქმევა ჩვენში ჯერჯერობით არ რეგულირდება, რის გამოც არჩევანიც თავისუფალია და გადაწყვეტილებაც, მაგრამ ჩემი ყურადღება მიიქცია ერთმა დეტალმა: საჯარო გამოსვლების დროს, ამ სახელწოდების ილუსტრირებისას, ფიგურირებს „წიწვოვანი ხეების თავთავის მსგავსი ყვავილედი“, რომელსაც თქვენ რატომღაც უწოდეთ — „გირჩი“.

უკვე სახელდებული საგნებისა და მოვლენებისათვის თვითნებურად სახელის შეცვლის უფლება კი თქვენ არა გაქვთ!!!

დიახ! თქვენ შეგიძლიათ დაირქვათ ის, რაც მოგესურვებათ, მაგრამ თუკი ამ სახელწოდების შესაბამის საგანსაც გამოაჩენთ, მაშინ, კეთილი უნდა ინებოთ და, საგნის სახელწოდება არ უნდა დაამახინჯოთ!!!

მაგალითად, თქვენ შეგიძლიათ დაირქვათ: „პანტი“; „გოგრი“; „ტარხუნი“; „წიწაკი“; „სკვინჩი“; „ბელური“; „ბარდი“; „ქამი“ (ნოეს ერთ შვილს ერქვა, იმაში არ აგერიოთ, ამჯერად სოკოს ვგულისხმობ); „ფაცხი“; „კატი“; ..... და ასევე „გირჩი“, მაგრამ აქ ჩამოთვლილი არსებითი სახელების სწორი ფორმებია: პანტა; გოგრა; ტარხუნა; წიწაკა; სკვინჩა; ბელურა; ბარდა; ქამა; ფაცხა; კატა; .....და, რა თქმა უნდა გირჩა.

იმედია, მიმიხვდით!

— აქედან სამი გამოსავალია:

1. უნდა გაასწოროთ შეცდომა და დაირქვათ არა „გირჩი“, არამედ — „გირჩა“;

2. დაიტოვოთ სახელი „გირჩი“, მაგრამ მაშინ უნდა შეეშვათ წიწვოვან მცენარეთა თესლების ხატვას;

3. გამოიცვალოთ სახელი, მაგრამ ასეთ შემთხვევაში სასურველია ის, რასაც დაირქმევთ, ენობრივად იყოს გამართული, თორემ სახელწოდებაშივე თუ მოატყუებთ ხალხს, მერე თქვენი პროგრამული დანაპირებების დაჯერებაც გაუჭირდებათ.

P. S. იქნებ ისიც გაითვალისწინოთ, რომ ეს თქვენეული „გირჩი“, თუ მართებული „გირჩა“, სხვადასხვა ბრუნვებში, თქვენთვის დიდად არასახარბიელო რითმების პროვოცირებასაც გამოიწვევს და ამისთვისაც მოგიწევთ ანგარიშის გაწევა...“

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ ᲛᲐᲦᲠᲐᲫᲘᲡᲔᲣᲚᲐᲓ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ პარლამენტის უმრავლესობის დეპუტატის გუგული მაღრაძის თქმით, ჟურნალისტები პრიორიტეტებს ვერ არჩევენ, მკითხველთათვის მნიშვნელოვან თემებზე ნაკლებად წერენ და ყველგან სკანდალს ეძებენ. ამის შესახებ გუგული მაღრაძე სოციალურ ქსელში წერს.

„ჩემო ძვირფასო და საყვარელო ჟურნალისტებო, რა სამწუხაროა, რომ ყველაფერი, რასაც არაოფიციალურად გეუბნებით, ოფიციალური განცხადების სახით ქვეყნდება მეორე დღეს, ხოლო მნიშვნელოვანი საკითხები, რაზეც ოფიციალური ინტერვიუ მოგეცით, ნაკლებად გაინტერესებთ. დღეში 20 ლარად ნოყიერი სადილის მომზადება ნამდვილად შეიძლება, თუმცა რატომ არის ეს თემა უფრო საინტერესო, ვიდრე სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რაზეც ოფიციალური ინტერვიუ მოგეცით, აი ეს არ მესმის? მიუხედავად იმისა, რომ პრიორიტეტები ვერ გაგირჩევიათ. არ იცით, თუ რა ინფორმაცია უფრო საჭირო და მნიშვნელოვანია მკითხველისთვის და სკანდალს ეძებთ ყველგან, არ დაგძრახავთ, გაიხარეთ და დაბეჭდეთ რაც თქვენი აზრით უფრო საინტერესოა. ეს თქვენი სიტყვის თავისუფლებაა“.

ᲕᲔᲠ ᲛᲝᲒᲘᲬᲝᲜᲔᲑᲗ, ᲑᲐᲑᲝᲜᲝ ᲡᲝᲡᲝ!

ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ორგანიზაცია „საქართველოს ტრანსპორტისა და გზების ასოციაციაა“ პარლამენტს მიმართავს, მხარი არ დაუჭირონ დეპუტატ სოსო ჯაჭვლიანის კანონპროექტს, რომელიც ტროტუარზე დარღვევით პარკირებული ავტომობილების მიმართ სანქციების შერბილებას ითვალისწინებს. ორგანიზაციის განცხადებით, კანონპროექტი არაკომპეტენტური და მაღალი რისკის შემცველია და ქვეითად მოსიარულეთა უფლებებს ლახავს.

„განსაკუთრებული პრობლემები შეექმნებათ შშმ პირებს გადაადგილებისას. ევაკუაციის გაუქმებით გარკვეულწილად წახალისდებიან დამრღვევი მძღოლები, რაც მათ საშუალებას მისცემთ კიდევ უფრო ხშირად დაარღვიონ პარკირების წესები.

თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ თბილისი არ არის მეგობრული ქალაქი ფეხით მოსიარულისთვის, კანონპროექტის მიღების შემთხვევაში ტროტუარები გახდება გაუვალი, ქვეითად მოსიარულე კი გახდება იძულებული ისარგებლოს საავტომობილო გზით, რაც გაზრდის ავტოსაგზაო შემთხვევების რისკს. ქვეითის მონაწილეობით მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევა კი, როგორც წესი მთავრდება ფატალურად. მთლიანობაში კანონპროექტი არის მომზადებული არაკომპეტენტურად და არ ეყრდნობა არანაირ კვლევას, ის არის მაღალი რისკის შემცველი. მოვუწოდებთ საქართველოს პარლამენტის წევრებს, არ დაუჭირონ მხარი აღნიშნულ ცვლილებებს“, — ნათქვამია განცხადებაში.

ᲧᲘ-ᲔᲘᲒ-ᲔᲜᲘ, ᲛᲔᲓᲘᲐᲜᲘᲣᲡᲘ

◎ მე-5 კოლონის პირისპირ

ადამ მიხნიკი: როგორ გავუმკლავდეთ პუტინის საფრთხეს?

„პოსტსაბჭოთა ქვეყნების წინაშე არსებული ერთი ყველაზე დიდი საფრთხე პუტინის იმპერიალისტური პოლიტიკაა, მეორე კი, ჩვენ თვითონ ვართ“, — ამის შესახებ პოლონელმა საზოგადო მოღვაწემ, ჟურნალისტმა და ისტორიკოსმა ადამ მიხნიკმა განაცხადა, რომელმაც თემაზე „ევროკავშირი — რეალობა და მოლოდინები“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საჯარო ლექცია წაიკითხა. მიხნიკის ლექციიდან ამონარიდებს „ინტერპრესნიუსი“ ავრცელებს.

მიხნიკის თქმით, რუსეთისგან მომავალ საფრთხეებთან გასამკლავებლად, ისეთმა ქვეყნებმა, როგორიც საქართველო და პოლონეთი არიან, ყურადღება უნდა მიაქციონ პროპაგანდას, რომლისთვისაც რუსეთი „ინტელექტუალურ მე-5 კოლონას“ კარგად იყენებს. რეგიონში არსებულ სიტუაციაზე საუბრისას, მიხნიკმა ასევე ხაზი გაუსვა, რომ რუსეთი ერთადერთი არაა, რომელიც ავტორიტარიზმით ხასიათდება.

„პუტინი რუსეთი არ არის, ის რუსეთის ავადმყოფობაა. თუმცა ეს ავადმყოფობა სხვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებშიც შეინიშნება. ვლადიმერ პუტინმა იცის, რომ რუსეთში ერთგვარი შიშის ერთობა უნდა შექმნას. ის რუსეთს წარმოაჩენს როგორც ციხე-სიმაგრეს, რომელიც გარშემო შემორტყმულია მტრებით. არაფერს განსხვავებულს არ აკეთებს ვიქტორ ორბანი უნგრეთში, მაგრამ ყველაზე დიდი სხვაობა ამ ორ ადამიანს შორის ისაა, რომ ორბანი უნგრეთში არის უბედურება უნგრელებისთვის და პუტინი რუსეთში უბედურებაა მთელი მსოფლიოსთვის. ისეთი ქვეყნები კი, როგორიც საქართველო და პოლონეთი არიან, დგანან კითხვის წინაშე - როგორ გავუმკლავდეთ პუტინის საფრთხეს? პირველ რიგში, ყურადღებით უნდა დავუკვირდეთ იმ მოწამლულ პროპაგანდას, რომელიც რუსეთიდან მოდის. ეს ეხება ინტელექტუალურ მე-ნ კოლონას, რომელსაც ისინი ძალიან კარგად იყენებენ. მეორე, ჩვენ, საზოგადოებამ უნდა გავაცნობიეროთ, რომ ეს არ არის კონფლიქტი რუს ხალხთან, ეს არის კონფლიქტი პუტინის დიქტატურასთან, რომელიც თავისი ხასიათით, თვითონ არის ღრმად ანტირუსული. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ პუტინის ბრძოლა ოლიგარქიის წინააღმდეგ სხვა არაფერია, თუ არა მისი საკუთარი ფინანსური პოზიციების გამყარება. რუსეთი არ არის ნორმალური პოლიტიკის მქონე სახელმწიფო, ვინაიდან ყველა მოქმედება, რაც იქ ხდება, სპეცსამსახურების დაგეგმილია. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ დროს ევროკავშირშიც გარკვეული კრიზისია, სიტუაცია ნამდვილად საშიშია. ევროპაში ბოლო ხანებში თვალს ვადევნებთ რადიკალიზმისა და ექსტრემიზმის გამოვლინებას, დაკავშირებულს ახალ მიგრანტებთან. ვაკვირდებით სეპარატისტული მოძრაობების გაძლიერებას შოტლანდიაში, კატალონიაში... ვხედავთ ძალიან ღრმა კრიზისს საბერძნეთში, უნგრეთში... ასე რომ, მშვენიერი ხავერდოვანი რევოლუციების ეპოქის შემდეგ, ნელ-ნელა შევდივართ ხავერდოვანი დიქტატურის ეპოქაში“, — განაცხადა ადამ მიხნიკმა.

ადამ მიხნიკმა ისაუბრა კონკრეტულად საქართველოში განვითარებულ მოვლენებზეც და საქართველოს ყოფილი პრეზიდენტებისადმი საკუთარი დამოკიდებულება გაიხსენა. აღნიშნა, რომ ზვიად გამსახურდია თავისუფლებისთვის მებრძოლი იყო, მაგრამ როგორც პრეზიდენტი, ქვეყნისთვის უბედურების მომტანი აღმოჩნდა; ხოლო შევარდნაძეს პატივს სცემდა, როგორც ადამიანს, რომელმაც ბრეჟნევის დოქტრინა გააცამტვერა.

„შემდეგ იყო სააკაშვილი. როცა „ვარდების რევოლუცია“ მოხდა, გაზეთში, პირველ გვერდზე გამოვაქვეყნე ფოტო და სტატია, რომ ეს არის ბედნიერება საქართველოსთვის, რადგან დემოკრატებმა მშვიდობიანად მოიპოვეს გამარჯვება. რამდენიმე წლის შემდეგ კი „იმედის“ მოვლენები მოხდა. თბილისში ვიყავი, როგორც შუამავალი. შეხვედრაზე სააკაშვილმა სწორედ გაზეთის ის ნომერი დამიდო წინ. მიუხედავად ამისა, ის მე ისე მელაპარაკებოდა, თითქოს იდიოტი ვყოფილიყავი. მაშინ ვუთხარი, ხომ არ გგონია ახალი ზელანდიიდან ჩამოვედი, ძალიან კარგად ვიცი თქვენი ბოლშევიკური მეთოდი და აქაური რეალობა-მეთქი. მან ეს ყველაფერი უსიამოვნოდ მოისმინა და მითხრა: ადამ, შენ რა, სტალინისტებს იცავ? ისინი ყველანი მოსკოვისთვის მუშაობენო. მე კი ვუპასუხე, რომ პუტინიც ანალოგიურად აზროვნებს და თავის ოპოზიციას უწოდებს აფთრებს, რომლებიც უცხოურ საელჩოებში ეძებენ მხარდაჭერას. იმ დღესაც ვიყავი საქართველოში, როდესაც სააკაშვილმა არჩევნები წააგო და ვნახე ზეიმი, რომელიც მთელი ღამის განმავლობაში გრძელდებოდა. ანალოგიური ისტორიის მოყოლა შემიძლია პოლონეთზეც“, — განაცხადა მიხნიკმა.

მან პოლონელი პუბლიცისტის სიტყვები გაიხსენა, რომ ის, რაც პოლონეთს ყველაზე მეტად ემუქრება, კანიბალების დემოკრატიაა. **„ეს ნიშნავს იმას, რომ ტარდება დემოკრატიული არჩევნები, მაგრამ მასში გამარჯვებული პარტია ცდილობს, შეჭამოს წაგებული პარტიები“,** — აღნიშნა ადამ მიხნიკმა და ასეთ მაგალითად დაასახელა იანუკოვიჩის გამარჯვება. რაც შეეხება საქართველოს, მიხნიკის თქმით, ის საბოლოოდ გახდება ევროკავშირის ნაწილი, თუ დემოკრატიას დაიცავს.

ჭკვიანურია, რომ საქართველოს მთავრობა სიფრთხილეს იჩენს რუსეთთან!..

ადამ მიხნიკს სთხოვეს საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების საქმიანობის შეფასება, რაზეც უპასუხა, რომ ის არ არის ქართველოლოგი და არ აქვს საკმარისი ინფორმაცია, რათა რადიკალური განცხადებები გააკეთოს.

„თუმცა, ჩემი თვალთახედვით, ის პოლიტიკა, რაც აქვს საქართველოს ხელისუფლებას, არ არის ცუდი. გრძელდება პროევროპული კურსი, მაგრამ მათ ესმით, რომ ეს არის გრძელი გზა. ამავდროულად, ისინი იჩენენ სიფრთხილეს რუსეთთან მიმართებაში, რაც ჭკვიანურია, თუ გავითვალისწინებთ ომის გამოცდილებას. რა თქმა უნდა, ეს იყო პროვოკაცია რუსეთის მხრიდან, თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ მიხეილ სააკაშვილი წამოეგო ამ პროვოკაციას, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელები აფრთხილებდნენ.

არ არის დრო ნაპოლეონის ენით საუბრის მაშინ, როდესაც შენ ხარ სააკაშვილი. ქართულად ვერ ვკითხულობ, შესაბამისად, საქართველოს შესახებ მხოლოდ რუსულენოვან პუბლიკაციებს ვეცნობი, რომლებიც ობიექტურობით შეიძლება არ გამოირჩევა, მაგრამ ახლა არავინ წერს, რომ საქართველო არის პოლიციური სახელმწიფო, სადაც ადამიანის უფლებებს არღვევენ.

როგორც ქართველი, მე ალბათ შევხედავდი ერთ ხეს, მაგრამ როგორც პოლონელი, ვუყურებ შორიდან მთელ ტყეს. ჩემი შეფასებით, საქართველოში არაა ცუდი სიტუაცია, მაგრამ ქართველები ჰგვანან პოლონელებს იმ მხრივ, რომ რაც არ უნდა იყოს, ყოველთვის მაქსიმუმი უნდათ და კმაყოფილები არ არიან“, — განაცხადა ადამ მიხნიკმა.

„დასავლეთსა და ამერიკას ისლამური სახელმწიფოს ბოლომდე ამოშანთვა არ სურთ!“

„ევროპონს“ აქტუალურ პოლიტიკურ საკითხებზე ანალიტიკოსი ნანა დევდარიანი ესაუბრა.

— ძალბატონო ნანა, მსოფლიო შეძრულია საფრანგეთში მომხდარი ტერაქტებით. სპეციალისტები უკვე საუბრობენ, რომ ეს ერთჯერადი აქტი არ არის და სავსებით შესაძლებელია სხვა სახელმწიფოებსაც მოედოს.

საინტერესოა თქვენი აზრი, საიდან მოდის ტერორიზმის ფესვები და როგორ შეიძლება მისი შეჩერება?

— ტერორიზმი საბრძოლველად ძალიან მძიმეა, ვინაიდან, ის ხალხში შიშის და პანიკის დათესვისკენაა მიმართული. უბედურებაა ისაა, რომ ტერორს მიმართავენ მაშინ, როცა სხვადასხვა მექანიზმებითა თუ მეთოდებით საწადელს ვერ აღწევენ.

არ იფიქროთ, რომ მე ტერორიზმის გამართლება მინდა, უბრალოდ, მიზეზები მინდა დაგანახოთ. ამ შემთხვევაში ამ ტერაქტს კონკრეტული მიზეზები აქვს, მაგალითად ის, რომ დასავლეთი მკვეთრად ჩაერია ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის ქვეყნებში მთელი რიგი ვითომ „უსისხლო გადატრიალების“ ხელშეწყობაში. ამან გამოიწვია ის, რომ საერო სახელმწიფოები ისლამისტების ასპარეზად იქცა. მსგავსი ჩარევები ყოველთვის ძალიან ცუდ რეაქციებს იწვევს, ანუ ერთი სახელმწიფოს სურვილი, ჰარმონია განახორციელოს მსოფლიოში, იწვევს მსგავს პროცესებს.

— ქალბატონო ნანა, თქვენ ამას წინათ საკმაოდ ხმამაღალი განცხადება გააკეთეთ: „ამერიკა სადაც კი შევიდა, ქვა-ქვაზე არ დატოვა“, სხვათა შორის, ამ განცხადებას საზოგადოებაში არაერთგავროვანი გამოძახილი ჰქონდა. მეტიც, ზოგი აშკარად პრორუსულობაში გადანაშაულებდათ. მაინც რა გაძლევთ იმის თქმის საფუძველს, რომ მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების უკან ყველგან ამერიკა დგას?

— ვინმეს თუ ჰგონია, რომ ჩემთვის პრორუსულის დარქმევით რაიმე განცდებში ჩამაგდებს, ძალიან ცდება. გააჩნია, ვინ რას ამბობს. არის ადამიანთა ჯგუფი, რომელთა აზრი მე, არცერთ საკითხებში არ მაინტერესებს და ჩემს თავზე — მითუმეტეს.

მინდა ხაზგასმით ვთქვა, რომ თუ ჩვენ გადავხედავთ ბოლო 20 წლის განმავლობაში მიმდინარე მოვლენებს, მაშინ ვნახავთ, რომ ამის უკან, ყველგან დგას ამერიკა და ამას ვერაფერს ვერ ვუზამთ.

ეს ყოველთვის ხდება სრულიად გაუაზრებელი ჩარევების შედეგად. ჩვენი საზოგადოებისთვის მიუღებელია ამერიკის საელჩოდან და სახელმწიფო დეპარტამენტიდან ისეთ საკითხებზე კრიტიკა, რომელიც ეჭვშეუვალია ჩვენი საზოგადოებისთვის.

— ბოლო დროინდელმა მოვლენებმა, რომელმაც ააფორიაქა მსოფლიო, ნათლად დაგვანახა რუსეთის როლი თანამედროვე რეალობაში.

როგორ ფიქრობთ, კონკრეტულად რა ფუნქციის შესრულება შეუძლია რუსეთს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. აყენებს თუ არა ეს მისია მას, ამ კონკრეტულ მომენტში, მომგებიან სიტუაციაში?

— რუსეთმა ახლა ევროკავშირის წარმომადგენლებს ტერორისტულ-ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისკენ მოუწოდა, რაზეც მათ უარი განუცხადეს. ამ დროს რუსეთის პრეზიდენტი ადგა და ყოველგვარი სამართლებრივი ნორმების დაცვით, კანონიერი პრეზიდენტის მოთხოვნით, განახორციელა დარტყმები. აღმოჩნდა, რომ რუსეთმა ორ თვეში გაცილებით მეტი შედეგი დადო, ვიდრე წელიწადნახევარში 62 ქვეყნის კოალიციამ. აქედან 2 რამის დასკვნა შეიძლება: პირველი ის, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალები უფრო ძლიერია, ვიდრე 62 ქვეყნის, რაც დაუჯერებელია და მეორე, უფრო ლოგიკური, რომ დასავლეთს ამ ისლამური სახელმწიფოს ბოლომდე ამოშანთვა ხელს არ აძლევს და ის მას იყენებს, როგორც ინსტრუმენტს. ამ შემთხვევაში კი კონკრეტულად, ბაშარ ასადის დასამხობად.

— უკვე საუბრობენ იმაზე, მეზობლებთან მჭიდრო თანამშრომლობა რეგიონალურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით შეიძლება გახდეს რელიგიური ექსტრემიზმის და ე.წ. „რელიგიური ომის“ დაწყების საფუძველი. თუმცა, ქართული ეკლესია , მისი სულიერი მწყემსმთავარი აცხადებენ, რომ აღნიშნულ ტერაქტს და მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოებში მიმდინარე სხვა ტერაქტებს რელიგიური საფუძველი არ გააჩნიათ, რადგან ბოროტება რელიგიურ ნიშნებს არ ცნობს...თქვენი კომენტარი...

— არ არსებობს რელიგია, რომელიც ადამიანების მკვლელობას ქადაგებდეს. ამას არაფერი საერთო რელიგიასთან არ აქვს. რადგან ისლამი ომის მქადაგებელი რელიგია არ არის! ეს არის რელიგიური ნორმების პოლიტიკური მიზნით გამოყენება. ამ ფაქიზი თემით ადამიანების მანიპულირება ყველაზე ადვილია, რადგან ღვთის რწმენა, რელიგიურობა ეს ის თემაა, რომლითაც მანიპულირებას ახერხებენ!

ევროკავშირის მოწოდება, რომ საქართველომ უნდა მიიღოს სირიელი ლტოლვილები, სრულიად მიუღებელია ჩვენთვის. იმიტომ კი არა, რომ ჩვენ სირიელების უბედურება არ გვტკივა, არამედ, საქმე ის არის, რომ თუ ჩვენ გავხსნით საზღვრებს სირიელი ლტოლვილებისთვის, კაცმა არ იცის და რთული გასაგები იქნება, თუ ვინაა ლტოლვილი და ვინ ტერორისტი. ასევე ვიზალიბერალიზაციის მიღების შემთხვევაში მათთვის ევროპაში შესვლის პრობლემაც არ იქნება.

ორი ვარიანტი გვრჩება: ან ჩვენ მივიღებთ სირიელების ამ ნაკადს ან თუ ძალით მიგვაღებინებენ, მაშინ ჩვენ ვიზალიბერალიზაციას არ მოგვცემენ!

ესაუბრა
მედეა შელია

◎ ფინანსები

იაფი ფულის სასესხო სივრცე

ეროვნული ეკონომიკის განვითარების პერსპექტივებსა და უახლოეს მომავალში მისი განვითარების საპროგნოზო ტემპებზე ლაპარაკი ყოველთვის უპრიანია, მით უმეტეს მაშინ, როცა მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტი პარლამენტის კომისიებში აქტიურად განიხილება. არსებული გამოწვევების პირობებში, რომელთა წინაშე საქართველოს ეკონომიკა დგას, მისი თუნდაც მცირედით ზრდა, ცხადია, მხოლოდ მისასალმებელია. სხვა საქმეა, რამდენად იცვლება ამით არსებული მდგომარეობა. საიმისოდ, რომ ქვეყანაში ადგილობრივი, კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამომშვები წარმოებები განვითარდეს, მაღალი ტექნოლგიების დანერგვასთან ერთად, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობაა საჭირო, რაც იაფი, ფინანსური წყაროების გარეშე სრულიად წარმოუდგენელია. მაგრამ, ყველა კეთილი განზრახვა დიდი სანია, მათი ნაკლებად ხელმისაწვდომობის ყრუ კედელს აწყდება.

წლების მანძილზე, საბანკო სექტორი საქართველოში ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სფეროა, ამდენად, იაფიანი კრედიტების მიღების პრობლემა მცირე და საშუალო ბიზნესს, თითქოს არ უნდა ექმნებოდეს, მაგრამ ეს თვალის მხოლოდ ერთი გადავლებით. რეალობა კი ისაა, რომ მცირე და საშუალო ბიზნესს, განსაკუთრებით კი საქმიანობის დაწყების პირველ ეტაპზე, როცა ყველაფრის თავი და თავი იაფიანი ფინანსური ბაზის გამოძებნაა, ამ მხრივ კომერციული ბანკების კარი, ფაქტობრივად, დახურული აქვთ. გამონაკლისი, შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში, მხოლოდ მაშინაა, როცა საქმის დამწყებს სესხის უძრავი ქონებით უზრუნველყოფის შესაძლებლობა აქვს, რაც ძალიან იშვიათად არის ხოლმე. თანაც მცირე, მით უმეტეს საშუალო ბიზნესს, ბანკების მხარდაჭერა საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე სჭირდება, რასაც ეს კომერციული ფინანსური ინსტიტუტები ჩვენში ერიდებიან, რადგან გაცილებით მეტად სწრაფ, მაღალშემოსავლიან და ნაკლები რისკის შემცველ სამომხმარებლო სესხების გაცემაზე არიან ორიენტირებულნი. სამართლიანობა მოითხოვს ისიც აღვნიშნოთ, რომ ბოლო ერთი წლის მანძილზე კომბანკების მიერ ბიზნესის დაფინანსება კი გაიზარდა, მარამ ამის მიზეზი, უმთავრესად, ლარის გაცვლითი კურსის შემცირებაა.

ამასთან, საქმე ის არის, რომ კომერციულ ბანკებს, ვთქვათ, მაღალი რისკის მქონე სოფლის მეურნეობის საწარმოებზე კრედიტების გაცემის ჩინებული ალტერნატივა აქვთ იგივე ფული... სახელმწიფოს ასესხონ — გაცილებით სარგებლიანად და, რაც მთავარია, ფულის უკან დაბრუნების ასპროცენტიანი გარანტიით. ეს კი სახელმწიფო ფასიაქნი ქაღალდების შეძენით ხორციელდება, რომელთა ემისიას ფინანსთა სამინისტრო ყოველწლიურად ასობით მილიონი ლარის ოდენობით ახორციელებს. სახელმწიფოს, რომ იტყვიან, „ცოცხალი ფული“ მუდამ სჭირდება, ამიტომაც ის, ფინანსთა სამინისტროს მეშვეობით მას კომბანკებისგან სესხულობს, ცხადია, გარკვეულ პროცენტად. კერძოდ, წლეულს, სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის თანახმად, მთლიანად მილიარდ 97 მილიონი ლარის სხვადასხვა ვადიანი სახელმწიფო ქაღალდების გამოშვებაა დაგეგმილი. მათ შორის, 497 მილიონი ლარი გასულ წლებში გამოშვებული გრძელვადიანი სახაზინო ვალდებულებების დასაფარავადაა გათვალისწინებული, 600 მილიონი ლარი კი ახალი შიდა ვალისთვის იყო განკუთვნილი, მაგრამ ეს თანხა, ბიუჯეტის კორექტირების შედეგად, რამდენიმე თვის წინათ 100 მილიონი ლარით შემცირდა. ამ ნახევარ მილიარდ ლარს სახელმწიფო ხაზინა ფასიანი ქაღალდების ემისიით იღებს, ამდენს ფინანსთა სამინისტრო კომბანკების, თუმცა დაბალი პროცენტის გადამხდელი, მაგრამ საიმედოობის გათვალისწინებით, „ყველაზე სასურველი კლიენტია“. ის გარემოება, რომ საიმედობის გარდა, ფინანსთა სამინისტრო კომბანკებისთვის იმითაცაა მიმზიდველი მომხმარებელი, რომ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების განთავსებიდან მიღებული სახსრებიდან 200 მილიონ დოლარს, კომბანკებთან ერთობლივად შემუშავებული წესის შესაბამისად, ფინანსთა სამინისტრო, დეპოზიტის სახით, ისევ ამ ვალდებულებათა შემსყიდველ ბანკებში აბანდებს, ოღონდ ეკონომიკის დაკრედიტების პირობით. მაგრამ ყველაზე პიკანტური მაინც ის გარემოებაა, რომ ფინანსთა სამინისტრო კომერციული ბანკებიდან აღებული შედარებით ძვირიანი სესხები იმავე ბანკებში დეპოზიტებზე... ერთი პროცენტად შეაქვს. ფაქტობრივად, სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში ფულის დაბანდება კომბანკებისათვის „ქერის ორმოა“, მაგრამ რა ხეირია ამით ეკონომიკისთვის, კაცმა არ იცის, რადგან აღნიშნული სახსრების მოძრაობა სრულიად გაუმჭვირვალე პროცესია. ამასთან დაკავშირებით კი ფინანსთა სამინისტრო განმარტებას იძლევა, რომ, მართალია, ამ ფულადი ნაკადების მოძრაობას ზედამხედველობას არ ახორციელებს, მაგრამ ინფორმაციას ამის თაობაზე ფლობს. რაც შეეხება იმის შესახებ საზოგადოების ინფორმირებას, ამის „გასაჯაროება ბანკებისა და მსესხებლის გადასაწყვეტია“, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კომერციული საიდუმლოა.

ფაქტობრივად, ისეთი ვითარებაა, რომ სახელმწიფო, მცირე და საშუალო მეწარმეობის, აგრეთვე სოფლის მეურნეობის მხარდაჭერას კი აცხადებს, მაგრამ, არსებითად, როცა საქმე ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობაზე მიდგება, ისევ ბიზნესის კონკურენტად გვევლინება.

ამდენად, ფასიანი ქაღალდების განთავსებით რეალურ სარგებელს მხოლოდ კომერციული ბანკები იღებენ და, ფულადი ნაკადების სქემა მაქსიმალურად რომ გავამარტივოთ, ის ასეთია: ბანკები ფულს დაბალი პროცენტით სესხულობენ და მრავალჯერადად ძვირად გასცემენ. იმისათვის კი, რომ ფასიანი ქაღალდების ბაზარი არა მხოლოდ „ელიტური კლუბის წევრებისთვის“, ანუ კომბანკებისთვის იყოს გახსნილი, რომლებიც, მოვლენათა არსს თუ ჩავუღრმავდებით, ისევ მოსახლეობის სახსრებითვე საზრდოობენ (აბა, სახელმწიფო ბიუჯეტი, არსებითად, რა არის, თუ არა ჩვენი გადასახადები, დაბეგვრა და კიდევ მრავალი სხვა რამ?), არამედ მოსახლეობასაც ჰქონდეს მათი შეძენის საშუალება. ამას ყველა მეტ-ნაკლებად ავტორიტეტული ექსპერტიც აღნიშნავს და სწორედ ასეთია განვითარებული დემოკრატიული ქვეყნების პრაქტიკა.

ოთარ ტურაბელიძე

◎ სოფელი

ხელისუფლება მიწას საარჩევნოდაც დახნავს

მთავრობის გადაწყვეტილებით, „მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის“ პროექტი 2016 წლის ბოლომდე გაგრძელდება და ამისთვის ბიუჯეტიდან 40 მილიონი ლარი გამოიყოფა. ხელისუფლებამ საარჩევნო წელს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პროგრამის შეწყვეტა ვერ გაბედა. წესით და რიგით, უფასო ხვნა-თესვის სახელმწიფო პროგრამა 3-წლიანი იყო და 2015 წლის ბოლოს სრულდებოდა.

სოფლის მეურნეობის მინისტრის ოთარ დანელიას განცხადებით, მთავრობამ საჭიროდ ჩათვალა მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის 3-წლიანი პროექტი კიდევ ერთი წლით გაგრძელდეს, ვინაიდან ეს არის ძალიან კარგი სტიმული გლეხისთვის.

„ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროგრამა გაგრძელდეს კიდევ ერთი წლით. ვფიქრობთ, ასეთი სტიმული ჯერ კიდევ საჭიროა. საუბარია დამატებითი 40 მილიონი ლარის გამოყოფაზე, რომელიც მოხმარდება მცირემიწიანი ფერმერების მიწების დამუშავების პროგრამას ისევე, როგორც ეს იყო გასული 3 სეზონის განმავლობაში“, — განაცხადა დანელიამ.

მისი განმარტებით, პრიორიტეტულ მიმართულებად ასევე რჩება კოოპერირება, სამეცნიერო-კვლევითი მიმართულება და სურსათის უვნებლობა.

პარლამენტის აგრარული კომიტეტის თავმჯდომარე გელა სამხარაული აცხადებს, რომ მთავრობამ ეს გადაწყვეტილება პროგრამის წარმატებულად მიმდინარეობის გამო მიიღო. ეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ჩატარებულმა კვლევებმაც დაადასტურა.

„ფაქტობრივად, ფერმერებს გაუჩნდათ საბრუნავი საშუალებები. ეს არის დამატებითი სტიმული, რომ მიწათმოქმედების კუთხით აქტიურობა არ ჩაცხრეს. შესაბამისად, ეს პროგრამა მინიმუმ 1 წლით გაგრძელდება. ესეც დამოკიდებულია პროგრამის მოთხოვნაზე“, — აცხადებს სამხარაული.

აგრარული კომიტეტის თავმჯდომარე განმარტავს, რომ ბიუჯეტში ნაკლებად პრიორიტეტულ მუხლებს თანხები მოაკლდება და აღნიშნულ პროგრამაზე მიიმართება. სამხარაული სრულად გამორიცხავს იმას, რომ პროგრამის გაგრძელება 2016 წლის არჩევნების გამო მოხდა.

„სოფლის მეურნეობა ისეთი დარგია, რომელსაც არჩევნებიდან არჩევნებზე ვერ დაამთხვევ“, — აღნიშნავს სამხარაული.

სოფლის მეურნეობის ექსპერტს, პროფესორ პაატა კოღუაშვილს კი საპირისპირო მოსაზრება აქვს. მისი თქმით, პროექტის გაგრძელება მხოლოდ და მხოლოდ წინასაარჩევნო მომენტია. უკეთესი იქნებოდა ეს ფული ხელისუფლებას უფრო ეფექტიან პროექტებში დაებანდებინა.

მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროგრამის წარუმატებლობით განხორციელებაზე საუბრობს ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის მკვლევარი ია კაცია, რომელიც ხაზს უსვამს, რომ მიმდინარე წლის ოქტომბერში სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში ამ პროგრამის გაგრძელებაზე საუბარი არ იყო, არც თანხები იყო გათვალისწინებული. მისი დასკვნით, მთავრობის გადაწყვეტილების ასეთი მოულოდნელი ცვლილება, სავარაუდოდ, არჩევნებით არის განპირობებული.

„არჩევნების წინა წელს, როდესაც ფერმერს ეუბნები, რომ დახმარებას აღარ გაუწევ, ცოტა მტკივნეულია. ამიტომ, ჩემი აზრით, ამანაც იმოქმედა და ამ პროექტს გააგრძელებენ“, — აღნიშნავს ია კაცია „კომერსანტთან“ საუბრისას.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის სამწლიანი პროექტის ფარგლებში ყოველწლიურად დახმარებას 800 000-მდე გლეხი იღებს და 220 ათას ჰექტარზე მეტი მიწა მუშავდება.

ბექა დანელია

◎ ინფორმაცია

კარანტინმა შედეგი გამოიღო

სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის ზაზა დოლიძის ინფორმაციით, საკარანტინო მავნებლების წინააღმდეგ შესაბამისი ღონისძიებები გატარდა, რის შედეგადაც განადგურებას 6 მლნ ლარის ღირებულების სასოფლო-სამეურნეო კულტურები გადაურჩა. პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე, დოლიძემ სააგენტოს მიერ 2015 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში წარადგინა.

დოლიძის ცნობით, სამომხმარებლო ბაზრის კონტროლის მასშტაბები მნიშვნელოვნად გაფართოვდა და 7067 ბიზნესოპერატორის დოკუმენტური შემოწმება განხორციელდა, რაც წინა წლის მონაცემებს სამჯერ აღემატება. მისი მტკიცებით, კონტროლის მასშტაბების გაზრდის შედეგად, ვადაგასული სურსათის რეალიზაციის გამოვლენის ფაქტები შემცირდა და ღვინოსა და სხვა ალკოჰოლიან სასმელებზე კონტროლი გამკაცრდა.

„გმო-ს კვლევა სხვადასხვა დასახელების სურსათის 80 ნიმუშს ჩაუტარდა. ინსპექტირებულია 910 საბავშვო ბაღ-ბაღისა და 361 სკოლის სასადილო, რაც წინა წლის მონაცემებს 93 %-ით აჭარბებს. ქვეყანაში ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის უზრუნველსაყოფად ცხოველთა ჯანმრთელობაზე ეფექტიანი კონტროლი განხორციელდა“, — განაცხადა დოლიძემ.

მედიანიუსი

როგორ დავაღწიოთ თავი რუსეთ-თურქეთის ეკონომიკურ ჭაობას?

ჩვენი ეკონომიკური გუნდი მოსალოდნელ შედეგებს უნდა აანალიზებდეს!

რუსეთსა და თურქეთს შორის მდგომარეობა კვლავ დაძაბული რჩება და როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, ქვეყნები კომპრომისზეც რომ წავიდნენ, ნაკლებად სავარაუდოა, მათი მჭიდრო ეკონომიკური კავშირები ძველი ფორმით შენარჩუნდეს. როგორც ცნობილია, საუბარია წელიწადში 30 მილიარდ-დოლარიან სავაჭრო ბრუნვასა და დაახლოებით 2 მილიარდ-დოლარიან ინვესტიციაზე. ექსპერტების ვარაუდით, ეკონომიკური პრობლემები ორივე ქვეყანაზე მნიშვნელოვნად აისახება.

არანაკლებ საინტერესოა, რა მდგომარეობა შეექმნება ქართულ ეკონომიკას, რომელიც ამ ორ ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყანაზეა მიბმული.

„თურქეთიც და რუსეთიც საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორები არიან და თუ ამ ქვეყნებში რაიმე მნიშვნელოვანი ხდება, ეს ბუნებრივად აისახება საქართველოს ეკონომიკაზეც. სამწუხაროდ, რუსეთსა და თურქეთს შორის მოვლენების შემდგომ ესკალაციას არ ექნება დადებითი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე — დიდი ალბათობით, შემცირდება ეკონომიკური ზრდა, გაიზრდება სიღარიბის დონე და საფრთხის წინაშე დადგება მაკროეკონომიკური სტაბილურობა. ამიტომაც არის აუცილებელი, რომ საქართველოს ხელისუფლებამ სასწრაფოდ შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილი იქნება ის ღონისძიებები, რომელთა განხორციელებაც შესაძლებელს გახდის ამ უარყოფითი გავლენის მაქსიმალურად შემცირებას“, — წერს ყოფილი პრეზიდენტის ეკონომიკური მრჩეველი თემურ ბასილია ფეისბუქის საკუთარ გვერდზე და იქვე მოჰყავს მიმდინარე წლის სტატისტიკა:

„მიმდინარე წლის 9 თვეში საქართველოში თურქეთიდან შემოვიდა 962.7 მილიონი დოლარის ღირებულების პროდუქცია, რაც საერთო იმპორტის დაახლოებით 17%-ს შეადგენს, ხოლო, რუსეთიდან განხორციელდა 413.1 მილიონი დოლარის ღირებულების იმპორტი, რაც მთელი იმპორტის 7.1%-ია. აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ, თურქეთი არის პირველ ადგილზე, ხოლო, რუსეთი კი, მეოთხეზე თურქეთის, ჩინეთისა და აზერბაიჯანის შემდეგ.

რაც შეეხება საქართველოდან ექსპორტს, მიმდინარე წლის 9 თვეში რუსეთში განხორციელდა 110 მილიონი დოლარის ღირებულების საქონლის ექსპორტი, ხოლო, თურქეთში კი, 146 მილიონი დოლარის ღირებულების. ამ სფეროში თურქეთი მეორე ადგილზეა აზერბაიჯანის შემდეგ, ხოლო რუსეთი, მეხუთეზე და მასზე წინ არიან ასევე ბულგარეთი და სომხეთი“.

როგორც ბასილია აღნიშნავს, საქართველოს ეკონომიკასა და ფინანსურ სტაბილურობაზე დიდ გავლენას ახდენს უცხოეთიდან ფულადი გზავნილები, რომლებსაც ძირითადად ქართველი ემიგრანტები ურიცხავენ საქართველოში მცხოვრებ თავიანთი ოჯახის წევრებსა და ახლობლებს. მიმდინარე წლის 10 თვეში რუსეთიდან შემოვიდა 359 მილიონი დოლარი, რაც მთელი გადარიცხვების დაახლოებით 40%-ია, ხოლო, თურქეთიდან — 58 მილიონი დოლარი, რაც მთელი გადარიცხვების დაახლოებით 7%-ს შეადგენს.

ქართველი ექსპერტების შეფასებით, საკმაოდ დიდია ამ ქვეყნების გავლენა ქართულ ეკონომიკაზე და შესაბამისად, მოსალოდნელია როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შედეგები.

ექსპერტ **ემზარ ჯგერენაიას** მოსაზრებით, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, ჩვენ რა ზომებს მივიღებთ.

„თუ გავითვალისწინებთ, რომ თურქეთი რუსეთისთვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ძირითადი მიმწოდებელია, მითი უმეტეს ციტრუსის, მისი შეზღუდვის შემთხვევაში საქართველოს, რომელსაც აქვს ციტრუსი, შეუძლია ეს პროდუქტი რუსეთში უფრო მეტი რაოდენობით გაიტანოს. ასეთი პოლიტიკის გატარების პირობებში საქართველომ შეიძლება იხეიროს კიდეც. როგორც ითქვა, თურქ გადამზიდავებს რუსეთის საზღვარზე არ უშვებენ, ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია, ისინი ქართველმა გადამზიდავებმა ჩაანაცვლონ. ასე თუ ვიმუშავებთ, შესაძლებელია რაღაც მოგების მიღება. რაც შეეხება ზოგად სიტუაციას, უმჯობესია, ჩუმად ვიყოთ და თვალი ვადევნოთ, როგორ აგვარებენ ეს ქვეყნები ერთმანეთთან ურთიერთობებს“, — მიიჩნევს ემზარ ჯგერენაია.

ექსპერტ **გია ხუხაშვილის** ვარაუდით, გარკვეულწილად შეიძლება გაიზარდოს ქართული ექსპორტიც, მაგრამ რა კომენტარებიც ისმის რუსეთის მხრიდან, როდესაც იმპორტის ჩანაცვლებაზე საუბრობენ, ისინი განიხილავენ სხვა ქვეყნებს და მათ შორის საქართველო არ სახელდება.

„საუბარია სომხეთზე, აზერბაიჯანზე, ყაზახეთზე და ა.შ. რაც შეეხება საქართველოს, რუსეთთან არ გვაქვს ისეთი დალაგებული ურთიერთობა, რომ ამ მიმართულებით პროგრესს ველოდეთ. ამის გარდა, ფიზიკურად არ გაგვაჩნია ის პოტენციალი, რომ რუსეთში ექსპორტი გავზარდოთ“, — მიიჩნევს ხუხაშვილი.

ექსპერტ **დემურ გიორხელიძის** აზრით, თუ დაძაბულობის ხარისხი მოიმატებს, სიტუაცია გართულდება, რადგან ჩვენ მიბმული ვართ როგორც თურქეთზე, საიდანაც იმპორტი უზარმაზარია, ასევე რუსეთზე, რომელზეც ექსპორტის დიდი წილი მოდის, ჩვენი მწირი ექსპორტის მიუხედავად.

„ბუნებრივია, ეს ყველაფერი აისახება ქართულ ეკონომიკაზე, რომელიც ისედაც მძიმე მდგომარეობაშია. ჩვენ გვაქვს უსუსტესი ეკონომიკა, ამიტომ მას დამატებითი რყევები აღარ სჭირდება, ამიტომ არასასურველია დაძაბულობის ესკალაცია.

თუ დაძაბულობა სერიოზულ კონფლიქტში გადაიზრდება, ჩვენ ბაზრის დივერსიფიცირება დაგვჭირდება, იმიტომ, რომ კვების პროდუქტებზეც კი, უზარმაზარი იმპორტის გამო დამოკიდებული ვართ განსაკუთრებით თურქეთზე. რაკი საქართველოს შესაბამისი მარაგები არ გააჩნია, ხელისუფლებას უნდა გააჩნდეს გეგმა, დაძაბულობის შემთხვევაში რა რესურსებით შევავსებთ იმპორტის დეფიციტს და რას მოვიმოქმედებთ ექსპორტთან დაკავშირებით“, — მიიჩნევს გიორხელიძე.

როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, საქართველოს ეროვნულ ვალუტას ეს პროცესები მყისიერ პრობლემებს არ შეუქმნის, თუმცა, მთლიანობაში, მაინც შეეხება.

გია ხუხაშვილი თვლის, რომ ქართულ ეკონომიკასთან დაკავშირებით რეგიონში შექმნილ ვითარებას გარკვეული პოზიტიური განვითარებაც შეიძლება ჰქონდეს და ნეგატიურიც.

„გამიჭირდება მთლიანობაში შევაფასო, მაგრამ თუ ესკალაცია გაგრძელდა და შეიქმნა გარკვეული პრობლემა, საქართველომ რაღაც მიმართულებით პოზიტივიც მიიღოს. მოგეხსენებათ, ბუნებრივი გაზის 50%-ზე მეტს რუსეთიდან იღებს თურქეთი. თუ სიტუაცია ცივი ომის ფაზაში გადავიდა და ეკონომიკური პროცესები შეჩერდა, შესაძლებელი იქნება ამ დეფიციტის „შაჰ დენიზის“ მაგისტრალიდან შევსება; „შაჰ დენიზი 2“-ის მშენებლობის დაჩქარება“, — აცხადებს გია ხუხაშვილი.

შეგახსენებთ, რომ „შაჰ დენიზის“ მეორე ფაზა საქართველოს ტერიტორიაზე სამჯერ მეტი გაზის გატარებას ითვალისწინებს. როგორც სპეციალისტები ამბობენ, ეს პროექტი საქართველოსთვის რამდენიმე მიმართულებით არის მნიშვნელოვანი: საქართველო გააძლიერებს საკუთარ, როგორც ტრანზიტორი ქვეყნის, როლს; დამატებითი გაზის გატარების შემთხვევაში, საქართველოში შესაძლებელი გახდება გაზზე არსებული მოთხოვნის 75%-ის დაკმაყოფილება მსოფლიოში არსებულ საბაზრო ფასებთან შედარებით თითქმის სამჯერ უფრო იაფად.

პროექტის მიხედვით, შაჰ დენიზის მეორე ფაზის პროექტის ფარგლებში პირველი გაზის მიწოდება თურქეთის და საქართველოს მომხმარებლებისთვის სავარაუდოდ, 2018 წლისთვის დაიწყება, ხოლო ერთი წლის შემდეგ დამატებითი გაზის მიწოდება განხორციელდება საბერძნეთში, ბულგარეთსა და იტალიაში.

განსაკუთრებული სფერო, რომელსაც რუსეთსა და თურქეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობების მოშლა დარტყმის ქვეშ აყენებს — ტურიზმია. რუსეთის ტურიზმის ფედერალურმა სააგენტომ ტუროპერატორებს თურქეთში გამგზავრება უკვე აუკრძალა. აკრძალვის მიზეზად ტერორიზმის საფრთხე დასახელდა. არსებობს მოსაზრება, რომ შესაძლოა, გამოთავისუფლებული სეგმენტი საქართველომ აითვისოს, თუმცა ქართველი ექსპერტები ამ პერსპექტივასაც ეჭვქვეშ აყენებენ.

„ტურიზმთან დაკავშირებით ისმის, მათ შორის, რუსი ექსპერტების მოსაზრებებიც, რომ თუკი თურქეთი ჩაიკეტება, რუსი ტურისტები საქართველოში ჩამოვლენ, რასაც არ ვიზიარებ, რადგან რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაც არ არის დალაგებული. ამ მიმართულებით უფრო დიდ პრობლემებს ველოდები, რადგან შესაძლოა, აზერბაიჯანელი ტურისტები და არა მხოლოდ ისინი, საქართველოდან წაიყვანონ — ისეთი პირობები შესთავაზონ, რომ ფინანსურად ულირდეთ თურქეთში დასასვენებლად გამგზავრება. ანუ შესაძლოა, ტურიზმმაც დიდი დარტყმა მიიღოს“, — ვარაუდობს გია ხუხაშვილი.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ საქართველოს ხელისუფლების ეკონომიკური გუნდი უკვე უნდა ითვლიდეს, რა შედეგები ექნება საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე ამ პროცესებს, რადგან რუსეთიც და თურქეთიც საქართველოს ყველაზე დიდი სავაჭრო პარტნიორების ხუთეულში შედიან და ეს ქართულ ეკონომიკაზე რომ აისახება, ცხადია.

მარიამ თოდაძე

დედამიწის ზურგზე

ჩერნოგორია ოფიციალურად მიიწვიეს ნატოში

„ჩვენ ვულოცავთ ჩერნოგორიას. ესაა შესანიშნავი კავშირის დასაწყისი“, — განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა. ადრე ჩერნოგორიის ნატოში შესვლის წინააღმდეგ არაერთგზის გამოდიოდა რუსეთის ხელისუფლება.

* * *

პენტაგონში უარყვეს მტკიცება, რომ აშშ აწვდის უკრაინას „ხარახურას“ თანამედროვე იარაღის ნაცვლად

ადრე გაზეთმა „ვოშინგტონ პოსტმა“ გამოაქვეყნა სტატია იმის შესახებ, რომ ვაშინგტონმა თითქოს მიაწოდა კიევს იარაღი 260 მილიონზე მეტი დოლარის ოდენობით, და ეს იყო ძირითადად „მეორეხარისხოვანი ხარახურა“ — სამხედრო ჯიპები, რომლებსაც ამერიკის არმია იყენებდა ჯერ კიდევ 1980-1990 წლებში საბრძოლო მოქმედებებში, და ჯავშანჟილეტების მოძველებული მოდელები.

* * *

თურქეთს განზრახული აძვს, მინიმუმამდე შეამციროს ზარალი რუსეთის სანქციებისაგან

თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ახმედ დავითოღლუმ განაცხადა, რომ თურქეთის ბიზნესმენებს უკვე დაევალათ, გამონახონ მუშაობის ალტერნატიული ვარიანტები საგარეო ვაჭრობისა და ტურიზმის დარგში. მთავრობის ხელმძღვანელმა ასევე მოუწოდა მოსკოვს მოლაპარაკებისაკენ შეზღუდვების შემოღების ნაცვლად. მისი სიტყვებით, ანკარას აქვს საპასუხო ზომები.

* * *

აშშ არ გამორიცხავს რუსეთის წინააღმდეგ ახალი სანქციების შემოღებას საშუალო და მცირე სიშორის რაკეტებთან დაკავშირებული ხელშეკრულების გამო

ამერიკის შეერთებული შტატები ძველებურად განიხილავენ რუსეთის ფედერაციის მიმართ ეკონომიკური სანქციების შემოღების შესაძლებლობას იმ დარღვევების გამო, რომლებიც, მათი აზრით, შეეხება საშუალო და მცირე სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის ხელშეკრულებას, მაგრამ ჯერ გადაწყვეტილება არ მიულიათ. ამის შესახებ განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილემ შეიარაღებასა და საერთაშორისო უშიშროებაზე კონტროლის საკითხებში როუზ გეტემიულერმა.

* * *

სასამართლომ ლონდონში გასცა განკარგულება, დააპატიმრონ „კოსმოსის“ ხელმძღვანელის ჩერნიაკოვის ყველა აძტივი. მას ბრალი ედება 11 მილიარდის გატაცებაში „მოსკოვის ბანკიდან“

„მოსკოვის ბანკის“ იურისტებმა მიმართეს უმაღლეს სასამართლოს სარჩელით ანდრეი ჩერნიაკოვის მისამართით გასული კვირის ბოლოს და მოსამართლემ დაკმაყოფილა ბანკის განცხადება სრულად, გაიგო ამის შესახებ გაზეთმა „კომერსანტმა“. კომპანიის ექს-ხელმძღვანელს, რომელიც ალაბიანო-ბალტიის გვირაბს აშენებს, აუკრძალეს ინგლისის დატოვება.

პრეზიდენტ-ყოფილის მიერ ჩადებული თურქული ნაღმი

სააკაშვილი, ტერორისტული ორგანიზაცია „რუხი მგლები“ და 3200 რადიკალი ისლამისტი...

ვინ არის თურქი ფეთჰულაჰ გიულენი, რომლის დაფინანსებით სხვადასხვა ქვეყანაში — რუსეთში, აზერბაიჯანში, თურქეთში, აშშ-ში, ყირგიზეთში, ყაზახეთში, თურქმენეთსა და სხვაგან გახსნილი უნივერსიტეტები რელიგიური ექსტრემიზმის გამოაშკარავების შემდეგ დახურეს, საქართველოში კი მისი სახსრებით დაარსებული 14 სასწავლებელი შეუფერხებლად განაგრძობს ფუნქციონირებას?

მეტიც, თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ თაიფ ერდოღანმა რუსეთისა და აზერბაიჯანის პირველ პირებთან პირისპირ გამართული აუდიენციისას ვლადიმერ პუტინსა და ილჰამ ალიევს პირადად გადასცა იმ პირების სია, რომლებიც აღნიშნულ ქვეყნებში ფეთჰულაჰ გიულენის წარმომადგენლები იყვნენ და არა მხოლოდ საგანმანათლებლო, არამედ სახელმწიფო მმართველობის დონეზე ჰქონდათ განზრახული რუსეთსა და აზერბაიჯანში თავის დამკვიდრება. აშშ-ში მის მიერ გახსნილ სკოლებში „ეფ-ბი-აი“ შევიდა. აშშ-მა, აღნიშნული სასწავლებლების დახურვის პარალელურად, რამდენიმე პედაგოგი სისხლის სამართლის პასუხისგებაშიც მისცა.

სწორედ გიულენი დგას საქართველოში ერთ-ერთ პრესტიჟულ — „შავი ზღვის“ უნივერსიტეტის უკანაც.

გიულენი საქართველოში რამდენიმე სასწავლო დაწესებულებას ფლობს, ესენია: დემირელის სახელობის საბავშვო ბაღი; თბილისის სკოლა-ლიცეუმი „სხივი“; ბათუმის რ.შაჰინის სახელობის დაწყებითი სკოლა; ქუთაისის ნიკო ნიკოლაძის სახელობის დაწყებითი სკოლა; რუსთავის რუსთაველის სახელობის სახელოვნებო დაწყებითი სკოლა; ბათუმის უნივერსიტეტის მოსამზადებელი კურსები და ენათა ცენტრი; დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი; წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლა; მარნეულის უნივერსიტეტის მოსამზადებელი კურსები და ენათა ცენტრი. ერთი სიტყვით, ყველა თურქული უნივერსიტეტი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებს, მას ექვემდებარება. მართალია, გიულენის მიერ საქართველოში დაარსებულ სასწავლებლებში ისლამს არ ასწავლიან, მაგრამ არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ დაწყებითი კლასებიდან მის მიერ ნდობით აღჭურვილმა პირებმა ნიჭიერ ბავშვებს შთაგონონ იდეოლოგია, რომელსაც მისი მიმდევრები ატარებენ. ასეთ ბავშვებს გიულენი სწავლების ბოლო საფეხურამდე აფინანსებს და შემდგომ სხვადასხვა ქვეყანაში თავის მიერ დაარსებულ უნივერსიტეტებში პედაგოგებად აგზავნის.

გიულენის მიერ დაფინანსებული სასწავლებლები საქართველოში განსაკუთრებით „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მომრავლდა, რადგან მას სააკაშვილის ხელისუფლებამ „მწვანე შუქი“ აუნთო, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ იმ პერიოდში იხურებოდა იგივე გიულენის მიერ დაფუძნებული უნივერსიტეტების ნაწილი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

გიულენს ახლო კავშირი აქვს საქართველოს ექსპრეზიდენტის დედასთან გიული ალასანიასთან, რომელიც გიულენის ინიციატივით საქართველოში გამართული კონფერენციების ორგანიზატორი და მასთან საკმაოდ დაახლოებული პირია.

სხვა ქვეყნების მსგავსად, გიულენი საქართველოშიც აკონტროლებს თურქული ბიზნესის უმრავლესობას. ეს არის სამშენებლო, ტექსტილის, სამედიცინო ბიზნესები, თუმცა პრიორიტეტული მაინც განათლების სფეროა.

გიულენი ფიქრობს, რომ სწორედ ამ სფეროს დახმარებით შეძლებს ამა თუ იმ სახელმწიფოს მართვის სადავეების ჩაგდებას. სწორედ ამიტომაც გიულენი და მისი წარმომადგენლები მაქსიმალურად ცდილობენ, რომ მათი იდეოლოგიის მიმდევრები სახელმწიფო უწყებებში დასაქმდნენ. მათ საქართველოში არსებულ სასწავლებლებში ჰყავთ დამხმარეები, რომლებმაც იციან, რა და როგორ უნდა გააკეთონ.

გამოძიებით დგინდება, რომ გიულენი „ქართველ მეწარმეთა ასოციაციის“ უკანაც დგას. აღნიშნულ ასოციაციაში მხოლოდ ორი წევრია ქართველი, ისიც ფორმალურად, რათა გიულენის ბიზნესინტერესების გამტარებლებში ეჭვები არ დაბადონ და თავისუფლად ჩაიხედონ ქართული ეკონომიკის შიდასამზარეულოში.

გიულენის დაარსებულია ტერორისტული ორგანიზაცია „რუხი მგლები“, რომელიც სირიაში ისლამური სახელმწიფოს რიგებში იბრძვის.

გიულენმა სააკაშვილს სთხოვა, „ნიურჯლარის — რუხი მგლების“ წევრებისთვის — თურქეთისა და არაბული ქვეყნების მოქალაქეებისთვის, საქართველოს მოქალაქეობა მიეცა, რათა საქართველოში გადაადგილების ან სხვა სახის პრობლემები არ შექმნოდათ. სააკაშვილმა გიულენის თხოვნა შეასრულა და 3000 თურქს საქართველოს მოქალაქეობა დაჩქარებული წესით, თავისი პრეზიდენტობის ვადაში მიანიჭა, გიულენმა მას დამატებით 200-კაციანი სია გადასცა. ამ ყველაფრის სანაცვლოდ კი გიულენმა სააკაშვილს მილიონობით დოლარი გადაუხადა. ეს ინფორმაცია, იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა დაადასტურა. ექსტრემისტი თურქები, რომლებსაც სააკაშვილმა საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა, დღემდე ბათუმში მოღვაწეობენ და მათ ფინანსურად მიხეილ სააკაშვილის დედა გიული ალასანია გიულენის მიერ დაარსებული უმაღლესი სასწავლებლებიდან შემოსული თანხებით უზრუნველყოფს.

მიხეილ სააკაშვილმა თურქული ნაღმი ტერორისტული ორგანიზაცია „რუხი მგლების“ სახით საქართველოში არეულობის მოსაწყობად ჩადო. დღეისათვის სააკაშვილს 3200 ისლამისტი რადიკალი თურქი მებრძოლი ჰყავს საქართველოს მოქალაქის პასპორტით, რომლებმაც პროფესიონალურ დონეზე იციან, როგორ ჩააგდონ საქართველო საფრთხეში.

მიხეილ სააკაშვილმა თურქეთს სრული ჰეგემონია მისცა აჭარაზე და საქართველოს ბათუმისა და თბილისის აეროპორტები თურქულ კომპანიას ჩააბარა, სწორედ ამ აეროპორტების დახმარებით, მიხეილ სააკაშვილის უშუალო დავალებით ყოფილი თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი დაჯგუფება „რუხ მგლებს“ იარაღით ამარაგებდა.

ბოლოდროინდელი მოვლენების გათვალისწინებით აშკარად შეინიშნება თურქეთის გამძაფრებული მადა, რომელიც აჭარას ჩაყლაპვას უპირებს. თურქებს აჭარაში გიულენის მიერ კარგად გაწვრთნილი და სააკაშვილის მიერ საქართველოს მოქალაქეობამინიჭებული ტერორისტები ჰყავს და ხელთ უპყრიათ ყარსის შეთანხმება, რომელსაც ვადა 2019 წელს გასდის, ხოლო თურქეთის ოფიციალურ იურიდიულ დოკუმენტში (რომელიც დღემდე მოქმედებს) „თურქთა აღთქმაში“ ბათუმი თურქეთის საზღვრებშია მოქცეული.

http://marshalpress.ge

◎ კაკალ გულში

წერილოვანი ფრაზები

● **გადაცემა „არჩევანი“ ასეთი სიამოვნებითა და კმაყოფილებით არასოდეს არ მინახავს! ჯულიეტოვნა და მისი უფროსები ბოლომდე გაფარჩაკდნენ! დიდი მადლობა თბილისის საკრებულოს წევრს ქალბატონ რიმა ბერაძეს იმისთვის, რომ საზოგადოებას აჩვენა, თუ როგორ უნდა მიკერძოებული ტელეწამყვანის ბოლომდე გაფარჩაკება, აჩვენა, თუ როგორ უნდა საკუთარი სიმართლის დაცვა!**

არასოდეს ვყოფილვარ დღევანდელი ხელისუფლების მეხოტბე და პირიქით, ქალბატონ რიმაზეც რამდენიმე სტატუსიც დავწერე. იმ სტატუსებს არ წავშლი (იქ სხვა აზრიც დევს), მაგრამ დღეს ვიტყვი, რომ ნაციონალური მოძრაობა და „რუსთავი-2“ 100:0 დამარცხდნენ!

● **13 ივნისის სტიქიით დაზარალებულ ვინმე უშანგი ვარდიაშვილს, რომელიც „რუსთავი-2“-ში გოდებდა, ყურადღებას არ გვაქცევს ხელისუფლებაო, აღებული ქონია 500 000 ლარზე მეტი კომპენსაციის სახით. ერთი 10 000-ს ესენიც დაუმატებდნენ, „თქმაში“ და ეგ არის ამათი სიტყვის თავისუფლება.**

● **ვგიჟდები „ქართული გამარტივების“ ფენომენზე. გაცილებით ადვილია „მისალმებაზე ღლიცინი“ (მეც გამეცინა), ვიდრე იმაზე ფიქრი და თავის მტვრევა, COP21-ს სამიტზე რაზე უნდა იმსჯელოს 196 ქვეყნის დელეგაციამ (მათ შორის, საქართველოსი) და რა გრძელვადიან გადაწყვეტილებაზე შეთანხმდება მსოფლიო, რამაც გლობალური დათბობის მთავარი მიზეზი — ატმოსფეროში სითბური ეფექტის გაზების ემისია უნდა შეაჩეროს. იმის არ იყოს, რიმა ბერაძემდე კაცი შვილს რო არ აინტერესებდა რას ჭამდა დღეში ერთხელ მიუსაფარი ადამიანი და რამდენი იხარჯებოდა ამ ადამიანების გამოკვებაზე დღიურად. ლართვრამეტზე პოსტაობა უფრო გვიადვილდება, ვიდრე 1 კგ შაქრის მიტანა უფასო სასადილოში.**

● **O tempora, o mores!**

რას იფიქრებდა სრულიად საქართველო რამდენიმე წლის წინათ, თუ შალვა ნათელაშვილი „რუსთავი-2“-ის „სახე“ და „ჯილა“ გახდებოდა?

● **ჰაიჰარად ვუსმენ-ვუყურებდი და — მანანა ნაჭყებია, პაატა დავითაია და ბაჩუკი ქარდავა, ტო ლი ნატოში, ტო ლი ევროპულ ოჯახში მიუღიათ.**

მოდი და ნუ გაკვირდები!

● **რიმა ბერაძის ბუტერბროდზე მყოფ ქართველს,ხადურის ციკანი ესიზმრებოდაო!!!**

● **„ოცნება“ რო ოცნებების ახდენამდე დადიოდა და ოცნებებს აგროვებდა, სადაა ის ნაოცნებარი ბარათები და ოცნებები ???**

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ საქართველოს დღეები

ასტანაში ქართული სული ტრიალებდა

ყაზახეთში საქართველოს საელჩოს ორგანიზებითა და ქ. ასტანის ქართული საზოგადოებრივი ცენტრის „კოლხეთის“ ხელშეწყობით ქართული საღამო გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში სტუმრებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ ქართულ კულტურას, ქორეოგრაფიას და ფოლკლორს.

ქართულ საღამოზე წარმოდგენილი იყო აგრეთვე ქართული ტრადიციული კერძები, მრავალი სახეობის ყველი და ტკბილეული.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა ყაზახეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ზურაბ პატარაძემ, რომელმაც სტუმრებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების თაობაზე, ოკუპირებულ ტერიტორიებზე, საქართველოში მიმდინარე რეფორმებსა და ქვეყნის მიღწევებზე სხვადასხვა სფეროში.

საღამოს ფარგლებში გაიმართა სხვადასხვა სახეობის ქართული ღვინის დეგუსტაცია. სტუმრების დიდი მოწონება დაიმსახურა ქვევრის ღვინომ, რომელთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ქვევრის ღვინის დაყენების ქართული ტრადიციული მეთოდი UNESCO-ს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში მოხვდა.

ღონისძიების ფარგლებში წარმოდგენილ იქნა ვიდეორგოლები საქართველოს ტურისტული პოტენციალის, კურორტებისა და ისტორიული ძეგლების შესახებ. ამასთან ერთად, სტუმრებს გადაეცათ საქართველოს ტურისტული რეგიონებისა და ღირსშესანიშნაობების ამსახველი საპრეზენტაციო მასალა.

ქართული საღამოს ფარგლებში გაიმართა მიმდინარე წლის 6 დეკემბერს დაგეგმილი საქველმოქმედო ღონისძიების - საშობაო ბაზრის (Christmas Charity Bazaar) პრეზენტაცია, რომლის ერთ—ერთი მთავარი ორგანიზატორი ყაზახეთში საქართველოს საელჩოა.

მედიანიუსი

მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

საქართველო
აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მესამე პროექტის დამატებითი დაფინანსება
კრედიტის № IDA 5108-GE
პროექტის № P112523
დავალების სახელწოდება: საგზაო უსაფრთხოების შემეცნებისა და ცოდნის ამაღლების კამპანია E-60 ავტომაგისტრალის თბილისი-ფოთის კორიდორისა და მის მიმდებარე დასახლებებში
კონტრაქტი/RFP No: TEWHIP AF/CS/CQS-02
საიდენტიფიკაციო No: TEWHIP AF PP, პუნქტი No.20

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება **აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მესამე პროექტის დამატებითი დაფინანსებისათვის.** აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, საჭირო მომსახურებისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ კონსულტანტებს ინტერესის გამოსახატად შემდეგი მომსახურების გასაწევად: **„საგზაო უსაფრთხოების შემეცნებისა და ცოდნის ამაღლების კამპანია E-60 ავტომაგისტრალის თბილისი–ფოთის კორიდორისა და მის მიმდებარე დასახლებებში "**

დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ აღნიშნული მომსახურების გასაწევად საჭირო გამოცდილების დამადასტურებელი ინფორმაცია. ინტერესის გამოხატვა უნდა მოიცავდეს (მაგრამ არ არის შეზღუდული) შემდეგს: შესაბამისი გამოცდილება პროექტთან მიმართებაში, ძირითადი პერსონალის რესურსები და კვალიფიკაცია, კორპორატიული პროფილი.

დავალების სავარაუდო ხანგრძლივობაა 6 თვე.

კონსულტანტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

- მინიმუმ 3-წლიანი გამოცდილება საჯარო ურთიერთობებში, მაგალითად, დამქირავებლის მიზნების მისაღწევად საჭირო სოციალური და მარკეტინგული კვლევების დაგეგმვა და განხორციელება (უპირატესობად ჩაითვლება საგზაო უსაფრთხოების აქტივობების განხორციელების გამოცდილება, მაგალითად ავტომობილების სტრუქტურული უსაფრთხოება, საგანმანათლებლო/საჯარო კამპანიის წარმოება მანქანის ნასვამ მდგომარეობაში მართვის, სიჩქარის გადაჭარბების და უსაფრთხოების ღვედის გამოყენების შესახებ, საგანმანათლებლო/საჯარო კამპანიის წარმოება მოზრდილებთან, ბავშვებთან და სხვა);
- საქართველოში კვლევის შესაბამისი ფოკუს–ჯგუფების შერჩევის და მათთან მუშაობის, საგანმანათლებლო/საჯარო კამპანიის მომზადების და მართვის, და/ან საჯარო კონსულტაციების ჩატარების გამოცდილება;
- საქართველოში სხვადასხვა მედიასაშუალებებთან (ტელევიზია, რადიო, ბილბორდები, გაზეთები, ინტერნეტი) მუშაობის გამოცდილება;
- ცნობიერების ამაღლების და საკომუნიკაციო დოკუმენტების მომზადება ფოკუს ჯგუფებისა და ადგილობრივებისთვის საქართველოში, PR ლიტერატურის მომზადება და გავრცელება, მაგალითად ფლაერების, ბუკლეტების და სხვა სახით. ასევე საიმიჯო და საინფორმაციო ხასიათის სტატიების მომზადების გამოცდილება;
- აქტივობების სპეციფიკურობის გათვალისწინებით საქართველოში საზოგადოების აქტუალური პრობლემების შესწავლის და დამქირავებელსა და საზოგადოებას შორის დიალოგის საწარმოებლად შეხვედრების ორგანიზების გამოცდილება, რომელიც მიზნად ისახავს დისკუსიის პროცესში პრობლემების გადაჭრის გზების პოვნას;

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]" (2011 წლის იანვრის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში, "კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები") – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურეობებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურეობებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

კონსულტანტებს შეუძლიათ გაერთიანდნენ კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მსოფლიო ბანკისთვის მისაღები გაერთიანების ფორმაა ან ქვე-კონსულტანტი ან ერთობლივი საწარმო. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად უნდა იყოს მითითებული ასოციაციის სახე. ქვე-კონსულტანტების გამოცდილება არ იქნება გათვალისწინებული კომპანიის კორპორატიული გამოცდილების შეფასების დროს. დავალების შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება წარმოდგენილ უნდა იქნას №1 ფორმის სახით, რომელიც განთავსებულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე www.georoad.ge შემდეგ ბმულზე:
http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819

კონსულტანტების მიერ წარმოდგენილი ინტერესის გამოხატვა არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს. დანართის სახით შესაძლებელია კომპანიის ბროშურის წარმოდგენა, რაზეც გვერდების რაოდენობის შეზღუდვა არ ვრცელდება.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება მსოფლიო ბანკის ინსტრუქციებში – „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]" (2011 წლის იანვრის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში, "კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები") მოცემული კონსულტანტის კვალიფიკაციაზე დაფუძნებული შერჩევის მეთოდის თანახმად.

წარმოდგენილი ინტერესთა გამოხატვის საფუძველზე განისაზღვრება მოკლე სია და უმაღლესი შეფასების მქონე კონსულტანტებს სთხოვენ ტექნიკური და ფინანსური წინადადების წარმოდგენას.

დაინტერესებულ კონსულტანტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ იმეილზე: info@georoad.ge

ინტერესის გამოხატვის ელექტრონული ან ბეჭდური ვერსია წარმოდგენილ უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2015 წლის 17 დეკემბრის 17:00 საათისა.**
სახელი: ვახტანგ რაზმაძე
თანამდებობა: საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო პროექტების სამმართველოს უფროსი
მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზირი №12, თბილისი, 0160, საქართველო
ელ. ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

REQUEST FOR EXPRESSION OF INTEREST

Georgia
Third East-West Highway Improvement Project Additional Financing
Credit No. IDA 5108-GE
Project No. P112523
Assignment Title: Awareness and education road safety campaigns on E-60 Tbilisi-Poti Corridor and in Settlements along this highway Corridor
Contract/RFP No: TEWHIP AF/CS/CQS-02
Reference No. TEWHIP AF PP, Item No.20

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the **Third East West Highway Improvement Project Additional Financing** and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible consultancy companies (Consultants) to express their interest in providing the following services**: "Awareness and education road safety campaigns on E-60 Tbilisi-Poti Corridor and in Settlements along this highway Corridor".**

Interested companies shall provide information demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services. Expressions of interest should cover, but not limited to: Experience relevant to the project activities, key staff resources and qualification, corporate profile. They shall include brief CVs of the personnel, who are proposed for the assignment to confirm they have relevant qualification and experience.

The estimated duration of assignment is 6 months.

Required Qualification of the Consultant:

At least 3 years' experience in public relations, i.e. planning and carrying out necessary social and marketing surveys to achieve the goals and objectives of the Client (Advantage will be given to experience in carrying out road safety activities e.g. structural safety of vehicles; education/public awareness on drink driving, speeding and seat-belts; education/public awareness with adults and children, etc.),

Experience in selection of focus groups identified based on relevant study and working with them, preparation and management of education/public awareness and/or public consultations in Georgia;

Experience of working (cooperation) with various means of media, e.g., TV, radio, billboards, newspapers, internet in Georgia.

Experience in development of awareness and communication materials for the focus groups and local communities in Georgia, in development-dissemination of PR literature such as flyers, leaflets, etc. Also, experience in preparation of image-making and informative articles.

Considering the specificity of activities in Georgia, experience in studying topical problems of community and organization of meetings to have a dialogue between the Client and community, aimed at discussion and finding a solution to these problems.

Note: The Road Department reserves it's right to verify submitted references and use obtained information for evaluation purposes.

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers*, January 2011, revised July 2014 ("Consultant Guidelines"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm's consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

Consultants may form an association (***Please take into account that form of association acceptable for the World Bank is either sub-consultancy or Joint-Venture and submission must clearly indicate the nature of the association***) to enhance their qualifications. The experience of sub-consultants will not be taken into account while evaluating the corporate experience of the company. Experience in the projects relevant to the assignment should be submitted in the Form N1 uploaded at Roads Department website on www.georoad.ge on the following link:
http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819

The consultants are strongly advised to limit their Expression of Interest to 30 pages. Company brochures may be included as an Annex, and will not be affected by the limit of 30 pages.

A consultant will be selected in accordance with the "Consultant's Qualification Selection" procedures set out in World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers* , January 2011, revised July 2014 ("Consultant Guidelines").

Interested consultants may obtain further information by email: i

Expressions of Interest accompanied relevant information mentioned above must be submitted either as a hard copy or electronically to the address below not later than **December 17, 2015, 17:00 hours.**

Name: Vakhtang Razmadze
Position: Head of Foreign Projects Unit of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Email: info@georoad.ge
Web-Site: www.georoad.ge

მოწვევა ტენდერზე

საქართველო

„ელექტროგადამცემი ქსელის გაძლიერების პროექტი“

სესხი #8377-GE

ხელშეკრულების დასახელება: ფოლად-ალუმინის სადენისა და დამიწების კაბელის მოწოდება 220კვ ელექტროგადამცემი ხაზებისთვის „სათაფლია“ და „აჯამეთი“

ხელშეკრულების # IDA/TGSP/G/ICB/03-2015

1. საქართველოს მთავრობამ რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკისგან (IBRD) მიიღო სესხი „ელექტროგადაცემის ქსელის გაუმჯობესების პროექტის“ დასაფინანსებლად. სესხის ნაწილი მოხმარდება 220კვ გადამცემი ხაზებისთვის „სათაფლია“ და „აჯამეთი“ ანძების მოწოდების კონტრაქტით გათვალისწინებულ გადახდებს.

2. საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა (სსე) („დამქირავებელი“) ტენდერში მონაწილეობაზე უფლებამოსილ კომპანიებს იწვევს 220კვ გადამცემი ხაზებისთვის „სათაფლია“ და „აჯამეთი“ ფოლად-ალუმინის სადენისა და დამიწების კაბელის მოწოდებასთან დაკავშირებულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

3. ტენდერი განხორციელდება საერთაშორისო კონკურენტული ტენდერის (ICB) პროცედურების შესაბამისად, როგორც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის მსესხებლებისთვის გაცემული IBRD-ის და IDA-ს კრედიტების და გრანტების ფარგლებში საქონლის, სამუშაოებისა და არა-საკონსულტაციო მომსახურებების შესყიდვების შესახებ სახელმძღვანელო ინსტრუქციებით - იანვარი, 2011 წელი, განახლებული – ივლისი, 2014 წელი („შესყიდვების შესახებ სახელმძღვანელო ინსტრუქციები“), და მასზე დაიშვება ყველა მონაწილე, რომელიც უფლებამოსილია ტენდერში მონაწილეობაზე. გარდა ამისა, გთხოვთ იხელმძღვანელოთ ინტერესთა კონფლიქტის შესახებ მსოფლიო ბანკის წესების 1.6 და 1.7 პუნქტებით.

დამატებითი ინფორმაციის მიღება და სატენდერო დოკუმენტაციის ნახვა ტენდერის მონაწილეებს შეუძლიათ 10:00 სთ–დან 16:00 სთ–მდე (ადგილობრივი დროით), შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა (სსე)
ბარათაშვილის ქუჩა № 2, მე–3 სართული, ოთახი №304,
თბილისი 0105, საქართველო
საკონტაქტო პირი: ქ-ნი გურანდა მაჩაიძე, შესყიდვების სპეციალისტი
ტელ.: (995 599) 22 99 06
ელ-ფოსტა: guranda.machaidze@gse.com.ge

4. სატენდერო დოკუმენტაციის შესაძენად, ტენდერში მონაწილეობაზე უფლებამოსილმა მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ წერილობითი განაცხადი და გადაიხადონ 300 აშშ დოლარი სატენდერო დოკუმენტაციის თითო ეგზემპლარისთვის; აღნიშნული თანხა არ ექვემდებარება ანაზღაურებას. სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად ტენდერის მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ აღნიშნული საფასურის (ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე) საბანკო გადარიცხვის დამადასტურებელი საბუთი (SWIFT) და წერილობითი/პირადი განაცხადი ზემოთ მითითებული პირის სახელზე. მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს სათანადოდ დამოწმებული თანმხლები წერილი, რომელშიც გარკვევით იქნება განსაზღვრული კომპანიის სახელწოდება და ქვეყანა. მოთხოვნის შესაბამისად, დოკუმენტაცია დაუყოვნებლივ გაიგზავნება რეგისტრირებული ფოსტით, თუმცა მის დაკარგვასა ან დაგვიანებით გადაცემაზე დამქირავებელს არ ეკისრება არავითარი პასუხისმგებლობა. ტენდერის მონაწილეებს შეუძლიათ მოითხოვონ ელექტრონული ვერსიის გაგზავნა ელ-ფოსტის მისამართზე.

<u>საბანკო ანგარიშები:</u>

<u>ლარი</u>	
მიმღების ბანკი	JSC Bank of Georgia
	Bank Code: BAGAGE22
მიმღები	Receiver: Georgian State Electrosystem JSC
	Receiver's account № GE56BG0000000283534100
<u>აშშ დოლარი</u>	
შუამავალი ბანკი	Citibank N.A., New York, USA
	SWIFT: CITIUS33
ბენეფიციარის ბანკი	Bank of Georgia; 3, Pushkin Str. 0105 Tbilisi, Georgia
	SWIFT: BAGAGE22
ბენეფიციარი	Beneficiary's name: Georgian State Electrosystem JSC
	Beneficiary's account №: GE56BG0000000283534100
<u>ევრო</u>	
შუამავალი ბანკი	Commerzbank, Frankfurt, Germany
	SWIFT: COBADEFF
ბენეფიციარის ბანკი	Bank of Georgia; 3, Pushkin Str. 0105 Tbilisi, Georgia
	SWIFT: BAGAGE22
ბენეფიციარი	Beneficiary's name: Georgian State Electrosystem JSC
	Beneficiary's account №: GE56BG0000000283534100

5. სატენდერო წინადადებები მოწოდებულ უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2016 წლის 15 იანვრის 17:00 საათისა, ადგილობრივი დროით.** წინადადებები ელექტრონული ფორმატით არ მიიღება. დაგვიანებით შემოსული სატენდერო წინადადებები არ დაიშვება. წინადადებები საჯაროდ გაიხსნება **2016 წლის 15 იანვარს, 17:00 საათზე, ადგილობრივი დროით,** პრეტენდენტების მიერ განსაზღვრული წარმომადგენლებისა და ნებისმიერი პირის თანდასწრებით, რომელიც გადაწყვეტს ტენდერის გახსნაზე პირადად დასწრებას.

6. სატენდერო წინადადებას თან უნდა ერთვოდეს 25,000 (ოცდახუთი ათასი) აშშ დოლარის ღირებულების სატენდერო წინადადების გარანტია.

7. დამკვეთის მისამართი, რომელზეც წარმოდგენილ უნდა იქნას სატენდერო წინადადებები:

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
ადრესატი: ბ-ნი სულხან ზუმბურიძე
მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე/რეაბილიტაციის მმართველი
საქართველო, თბილისი 0105, ბარათაშვილის ქ. №2, მე-4 სართული,
საკონფერენციო ოთახი №406
ტელ.: (995 599) 22 99 06
ფაქსი: (995 32) 298 37 04

(განცხადების ქართულ და ინგლისურ ვერსიებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ინგლისურ ვერსიას).

Invitation for Bids

Georgia

Transmission Grid Strengthening Project

Loan No: 8377-GE

Contract Title: Supply of Aluminium conductor steel-reinforced and Earth wire for 220kV transmission Line Sataplia &Adjameti

Reference No. IDA/TGSP/G/ICB/03-2015

1. Government of Georgia has received a loan from the World Bank towards the cost of the Transmission Grid Strengthening Project and intends to apply part of the proceeds to eligible payments under the contract for Supply of Aluminium conductor steel-reinforced and Earth wire for 220kV transmission Line Sataplia &Adjameti.

2. JSC Georgia State Electrosystem (GSE) now invites sealed bids from eligible bidders for Supply of Aluminium conductor steel-reinforced and Earth wire for 220kV transmission Line Sataplia &Adjameti

3. Bidding will be conducted through the International Competitive Bidding procedures as specified in the World Bank's *<u>Guidelines: Procurement of Goods, Works and Non-Consulting Services under IBRD Loans and IDA Credits & Grants by World Bank Borrowers, January 2011, revised July, 2014</u>* ("Procurement Guidelines"), and is open to all eligible bidders as defined in the Procurement Guidelines. In addition, please refer to paragraphs 1.6 and 1.7 setting forth the World Bank's policy on conflict of interest.

4. Interested eligible bidders may obtain further information from and inspect the bidding documents at the office of the Employer between the office hours 10:00 to 16:00 (local time):

Georgian State Electrosystem JSC
2, Baratashvili Street, 3rd Floor, Room 301
Tbilisi 0105, Georgia
Ms. Guranda Machaidze, Procurement Specialist
Tel: (995 32) 251 02 64
Email: guranda.machaidze@gse.com.ge

GEL	
BANK OF RECEIVER	JSC Bank of Georgia
	Bank Code: BAGAGE22
RECEIVER	Receiver: Georgian State Electrosystem JSC
	Receiver's account № GE56BG0000000283534100
USD	
INTERMEDIARY BANK	Citibank N.A., New York, USA
	SWIFT: CITIUS33
BENEFICIARY BANK	Bank of Georgia; 3, Pushkin Str. 0105 Tbilisi, Georgia
	SWIFT: BAGAGE22
BENEFICIARY	Beneficiary's name: Georgian State Electrosystem JSC
	Beneficiary's account №: GE56BG0000000283534100
EURO	
INTERMEDIARY BANK	Commerzbank, Frankfurt, Germany
	SWIFT: COBADEFF
BENEFICIARY BANK	Bank of Georgia; 3, Pushkin Str. 0105 Tbilisi, Georgia
	SWIFT: BAGAGE22
BENEFICIARY	Beneficiary's name: Georgian State Electrosystem JSC
	Beneficiary's account №: GE56BG0000000283534100

5. A complete set of Bidding Documents may be purchased by interested bidders on the submission of a written application to the above address and upon payment of a non-refundable fee of US$300 per copy against presentation of evidence (SWIFT) of the effected bank transfer of the fee (payable to the account indicated below) with application in writing/in person to the address given above. The request must be accompanied by a duly authorized cover letter, clearly stating the name of the company and the country of domicile. Upon request, the documents will be promptly dispatched by a registered post, but no liability can be accepted for loss or later delivery. The bidders may request for an electronic version to be received by e-mail.

6. Bids must be delivered to the address below on or before January 15, 2016. Electronic bidding will not be permitted. Late bids will be rejected. Bids will be publicly opened in the presence of the bidders' designated representatives and anyone who choose to attend at the address below on January 15, 2016, 17:00 local time.

7. All bids must be accompanied by a Bid Security of USD 25,000 (Twenty Five Thousand United States Dollars).

8. The address referred to above is:

JSC Georgian State Electrosystem (GSE)
Attn: Sulkhan Zumburidze
The Chairman of Management Board/Rehabilitation Manager
Conference room no. 406, 4th floor
2 Baratashvili Str.
0105, Tbilisi, Georgia
Tel: (995 32) 251 02 64
Fax: (995 32) 298 37 04

◎ წყალბურთი

შინაც დამარცხდნენ

თბილისის საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკის“ აუზმა მსოფლიო ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის მესამე ტურის მატჩს უმასპინძლა საქართველოს და რუმინეთის ნაკრებებს შორის. წინა ორი შეხვედრა ორივე გუნდმა წააგო უნგრელებსა და ბერძნებთან.

საქართველო - რუმინეთი 11:13 (4:2, 2:4, 2:4, 3:3).

საქართველო: შუბლაძე, ქავთარაძე, ცრეპულია (3), ელეზი (2), ბითაძე (1), ელაჩა (1), ხვედელიანი, ბაღათურია (2), რურუა (1), გეგელაშვილი (1), ყაზახიშვილი, იმნაიშვილი, სტრუიჩი, მწვრთნელები — პოპოვიჩი და ისელიძე.

რუმინეთი: სტოენესკუ, პოპესკუ, ნეგრეანი (2), გეორგე, ოანტა (1), ბუსილა (2), ტეონარი (1), ჩიოვეანუ (3), გოანტა (1), საბო (1), ჩიბანი (2), პოპოვიკიუ, დრაგუსინი, მწვრთნელები - სტანოსევიჩი, ვამოსი.

საქართველოს წყალბურთელ ვაჟთა ნაკრებმა ზედიზედ ორჯერ მოიპოვა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ასპარეზობის უფლება. გაისად ეს შეჯიბრება 10-23 იანვარს ბელგრადში გაიმართება. ფინალური ეტაპის C ჯგუფში ჩვენები იტალიას, რუმინეთსა და გერმანიას გაუწევენ მეტოქეობას.

რაც შეეხება მსოფლიო ლიგას, მასში ჩვენი წყალბურთელები პირველად მონაწილეობენ. ქართველებმა სადებიუტო ბრძოლა 20 ოქტომბერს ბუდაპეშტში წააგეს, შემდეგ საბერძნეთის ნაკრებს დანებდნენ სტუმრად, პირველ დეკემბერს კი რუმინელებს უმასპინძლეს და მართალია პირველი პერიოდი 4:2 მოიგეს, მაგრამ შემდეგ ზედიზედ ორი რვაწუთიანი მონაკვეთი დათმეს ერთნაირი ანგარიშით — 2:4, ხოლო საბოლოოდ 11:13 დამარცხდნენ.

მსოფლიო ლიგის მეორე წრის შეხვედრები 2016 წლის თებერვალში განახლდება.

ლაშა დიდია

◎ რაგბი

ჩემპიონი სათავეს დაუბრუნდა

საძართველოს მორაგბეთა XXVI ეროვნული ჩემპიონატის XI ტურში ქვეყნის ჩემპიონი თბილისის „ლელო“ „არმიას“ დაუპირისპირდა, სამი ლელოს წყალობით მეტოქეს აჯობა 15:9 და ისევ სატურნირო ცხრილის სათავეში მოექცა. ყოფილმა ერთპიროვნულმა ლიდერმა გორის „ჯიქმა“ „ლოკომოტივთან“ წააგო 13:25 და მეორე ადგილზე ჩამოქვეითდა. **და-**

ნარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: თბილისის „არმაზი“ — ბოლნისის „ყოჩები“ 12:15, რუსთავის „ხარები“ — თბილისის „აკადემია“ 3:8, ქუთაისის „აია“-„ბათუმი“ 9:3.

სატურნირო მდგომარეობა 11 ტურის შემდეგ: „ლელო სარასენსი“ — 37 (202:156), „ჯიქი“ — 35 (184:116), „ბათუმი“ — 34 (177:139), „ლოკომოტივი“ — 33 (216:165), „აია“ — 32 (178:143), „ყოჩები“ — 24 (161:161), „აკადემია“ — 19 (99:156), „ხარები“ — 19 (122:173), „არმია“ — 15 (183:253), „არმაზი“ — 8 (137:197).

5-6 დეკემბერს XII ტურში ითამაშებენ: „აკადემია“ — „არმია“, „ბათუმი“ — „ხარები“, „ყოჩები“ — „აია“, „ლოკომოტივი“ — „არმაზი“, „ლელო“ — „ჯიქი“.

ლექსო ცინცაძე

◎ დირსეულნი

რიკ კარლაილი: ფაჩულიას ძლევამოსილება მართლაც შთამბეჭდავია

ზაზა ფაჩულიას მიერ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში დადგმულ მორიგ დიდებულ სპექტაკლს „დალას მავერიქსის“ მთავარი მწვრთნელი რიკ კარლაილი გამოეხმაურა და ქართველ ცენტრს საქებარი სიტყვები უძღვნა.

„ის ფარქვეშ ძალიან ჭკვიანურად მოქმედებს. ზაზა სხეულს კარგად იყენებს და კიდევ უფრო ათლეტურად იბრძვის, ვიდრე გარეგნულად ჩანს. ფაჩულიას ბურთთან ურთიერთობაც არ ეშლება, მისი ძლევამოსილება კი მართლაც შთამბეჭდავია“.

შეგახსენებთ, რომ გუშინ დილით პორტლენდში ოვერტაიმში მოგებულ (115:112) მატჩში ზაზამ 14 ქულა და 21 მოხსნა მოაგროვა და ამ უკანასკნელ კომპონენტში მარტში „ბრუკლინ ნეთსთან“ შეხვედრაში დამყარებული რეკორდი გაიმეორა.

ამ დროისთვის ფაჩულიას სეზონში ჩატარებულ 19 თამაშში საშუალოდ 11.1 ქულა და 10.2 მოხსნა აქვს, ორმაგი დუბლების (12) მხრივ კი ოკლაჰომელ რასელ ვესტბრუკთან ერთად მთელს ლიგაში მეორე-მესამე (!) ადგილზე იყოფს და მხოლოდ დეტროიტელ ანდრე დრამონდს (16) ჩამორჩება.

დავძენთ, რომ „დალას მავერიქსი“ 11 მოგებით და 8 მარცხით დასავლეთ კონფერენციაში მე-5 ადგილზეა, მომდევნო მატჩს კი 5 დეკემბერს შინ „ჰიუსტონ როკეტსის“ წინააღმდეგ გამართავს.

7-კაცა და 7-ქალა დუბაიში

შაბათ-კვირას დუბაიში რაგბი 7-ის მსოფლიო სერიის ეტაპია დანიშნული როგორც ვაჟებში, ასევე გოგონებში. პარალელურად, იქვე იმართება 16 საერთაშორისო ტურნირი და თითო მათგანში საქართველოს 7-კაცა და 7-ქალა ნაკრები მიიღებს მონაწილეობას.

გოგონები უკვე გაემგზავრნენ დუბაიში და საერთაშორისო ღია ტურნირში დღეს და ხვალ ხუთ თამაშს მოაწყობენ. მისი მეტოქეები PANTHERS-ი, SWISS BARBARIANS-ი და PINK BA-BAS-ი იქნებიან, ხოლო ხვალ AUC WOLVERINES-ს და THE MAMAS-ს შეხვდებიან.

ვაჟები დუბაიში დღეს მიემგზავრებიან და ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპზე ხვალ სამი თამაში მოუწევთ. ცნობილია, რომ ერთი მეტოქე მოსკოვის რეგიონი იქნება, ხოლო მეორე — ფრანგული კლუბი. მესამის ვინაობა მოგვიანებით გაირკვევა.

გიორგი ზოთაძე

საუკეთესო მწვრთნელებად ბლატი და უოლტონი აღიარეს

„კლივლენდ კავალიერზის“ და „გოლდენ სტეიტ უორიორზის“ თავკაცები დევიდ ბლატი და ლუკ უოლტონი ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის, შესაბამისად, აღმოსავლეთ და დასავლეთ დივიზიონების ოქტომბრის და ნოემბრის თვეების საუკეთესო მწვრთნელებად აღიარეს.

ბლატის ხელმძღვანელობით კლივლენდელებმა აღმოსავლეთში საუკეთესო შედეგი აჩვენეს — 13 მოგება, 4 მარცხი. „კავალიერზმა“ სეზონის გახსნის მატჩი „ჩიკაგო ბულზთან“ წააგო, რასაც ზედიზედ 8 გამარჯვება მიაყოლა. გარდა ამის, ბლატის გუნდს შინაურ კედლებში 9-ვე შეხვედრა მოგებული აქვს.

უოლტონმა, რომელიც მთავარი მწვრთნელის პოსტზე ნაოპერაციევ სტივ კერის ცვლის, „უორიორზთან“ ერთად საოცარი სტარტი „გამოაცხო“ — მიჯრით 19 გამარჯვება. „ოქროს შტატელებს“ ლიგაში პირველი ადგილი უკავიათ როგორც საშუალოდ ჩაგდებული ქულების (115.3), ასევე მატჩში დაფიქსირებული სხვაობის (15.4) მხრივ.

საუკეთესო მწვრთნელის ტიტულზე პრეტენზიას სტივ კლიფორდი („შარლოტი“), ფრენკ ვოგელი („ინდიანა“), დოკ რივერსი („კლიპერზი“), ერიკ სპოელსტრა („მაიამი“), ბილი დონოვანი („ოკლაჰომა სიტი“), სკოტ სკაილზი („ორლანდო“), გრეგ პოპოვიჩი („სან ანტონიო“) და დუეინ კეისიც („ტორონტო“) აცხადებდნენ.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

ები კლენსი წერეთლის გამზირზე

საკუთარი თავის ქება უმადური რამაა. მაქებარი იმდენად ჭკვიანი უნდა იყოს, რომ ყველა დაარწმუნოს მის გამორჩეულობაში და თან ისე, რომ მასზე არა თქვან — ეს რა ნარცისი ვინმე ყოფილაო. თვითპიარი ზოგს გამოსდის, ზოგს კი ხშირად უვარდება ხოლმე კოვზი ნაცარში.

აი, მაგალითად, აყლაყუდა ინლისელი ბომბარდირის პიტერ კრაუჩის ეპატაჟური მეუღლე, მოდელი ები კლენსი მუდამ თავპატიჟდაუდებლად აქებს საკუთარ თავს და კაცმა რომ გულრწფელად თქვას, ეს საქმე არცთუ კარგად გამოსდის. მაგრამ გაგონილა? ები, იგივე აბიგაილი მაინც ჯიუტად აგრძელებს თავისას.

ამას წინათ პიტერ კრაუჩის ცოლს უთქვამს, მიკვირს ჩემს საოცარ უკანალს ყველა დიდი აღფრთოვანებით რატომ არ ეკიდებაო. არადა ისეთი გავა მაქვს, მე რომ წერეთლის გამზირზე დამაყენოთ და კაცი ვაშლიჯვრიდან გადმოახედოთ, ისიც კი პირველ რიგში ჩემს დიად გავას დაინახავსო. ისე, ცდად კი ღირდა...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ჭადრაკი

განახლებული რეიტინგით

ფიდემ მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა განახლებული რეიტინგები გამოაქვეყნა, რომლებშიც წინა თვის შედეგებია გათვალისწინებული. პირველ ასეულებში ცხრა ქართველი მანდილოსანი და ერთი მამაკაცი შევიდა, ათეულების ლიდერები კი უცვლელია.

მანდილოსნები — ჰოუ იფანი (ჩინეთი, 2683). ჰამპი კონერუ (ინდოეთი, 2583), მარია მუზიჩუკი (უკრაინა, 2561), ნანა ძაგნიძე (საქართველო, 2559), ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი, 2543), ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი, 2542), ანა მუზიჩუკი (უკრაინა, 2535), ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა, 2534), კატერინა ლაგნო (რუსეთი, 2529), პია კრამლინგი (შვედეთი, 2523)... 15. ნინო ბაციაშვილი (2498), 16. ბელა ხოტენაშვილი (2496), 21. ლელა ჯავახიშვილი (2486), 35. სალომე მელია (2452), 49. ნინო ხურციძე (2432), 72. მერი არაბიძე (2390), 97. სოფიო გურამიშვილი (2368), 99. მაია ლომინეიშვილი (2365).

ვაჟები — მაგნუს კარლსენი (ნორვეგია, 2834), ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი, 2803), ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი, 2796), ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი, 2796), ჰიკარუ ნაკამურა (აშშ, 2793), ლევონ არონიანი (სომხეთი, 2788), ფაბიანო კარუანა (იტალია, 2787), ანიშ გირი (ჰოლანდია, 2784), დინ ლიჟენი (ჩინეთი, 2778), უესლი სო (აშშ, 2775). ბაადურ ჯობავა 2673 პუნქტით 70-ეა.

გივი გაგუა

◎ პატივგება

გულმართალი, კალამბასრი მწერალი

ზაირა არსენიშვილი არა მარტო ღონიერი და გონიერი მწერალი და პუბლიცისტი იყო, არამედ ქართული კინოს გამორჩეული სცენარისტიც. მარტოოდენ ჩვენი გამოჩენილი რეჟისორის ლანა ღოღობერიძის შთამბეჭდავი ფილმების სცენარების ავტორობა რად ღირს. ამ ორი დიდი ქალბატონის თითქმის ნახევარსაუკუნოვანი შემოქმედებითი მეგობრობა ლეგენდასავით დარჩება ქართული ხელოვნების, კინოდრამატურგის ისტორიას.

— სულ „ვჩხუბობდით“, ერთმანეთს საკუთარი აზრის უპირატესობას ვუმტკიცებდით, გავიყრებოდით, ერთი კვირის შემდეგ ისევ „შევრიგდებოდით“ და თავიდან ვიწყებდით „ჩხუბს“... ბოლოს მაინც შეჯერებული აზრი იმარჯვებდა და მაყურებელი დასრულებული ფილმის სახით მწიფე, ტკბილ შემოქმედებით ნაყოფს იღებდა... თუ რაიმე ღირებული გამომივიდა, ეს ზაირა არსენიშვილის დამსახურებაა, — თქვა ლანა ღოღობერიძემ მკითხველისთვის სათაყვანებელი მწერალი ქალის მემორიალური დაფის გახსნაზე 30 ნოემბერს, თბილისში, ქუჩიშვილის ქუჩის მეცხრე ნომერ სახლთან შეკრებილი ხალხის გასაგონად.

განათლებით ფილოლოგი და მუსიკოსი, სამგზის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, თავის რომანებში, მოთხრობებსა და კახურ ქრონიკებში მაღალი ოსტატობით გადმოსცემს მეოცე საუკუნის ისტორიულ მოვლენებს, საზოგადოებისა და ცალკეულ პიროვნებათა ტრაგიზმს, ბედუკულმართობას, ამაოებას... ზაირა არსენიშვილი თამამი, პრინციპული, გულმართალი პროზაიკოსია...

მწერლის პატივგების საღამოზე გამოვიდნენ პროფესორი ნოდარ ცერცვაძე, მწერალი და მთარგმნელი გიორგი ლობჟანიძე, ხელოვნებათმცოდნე ლელა ოჩიაური, მწერალი და ჟურნალისტი, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ საკუთარი კორესპონდენტი კახეთის მხარეში ზურაბ არსენიშვილი და სხვები.

გულწრფელი მადლობა დედაქალაქის მერიას ამ ღონისძიების ორგანიზებისთვის.

ზაირა არსენიშვილის მემორიალური დაფა ამშვენებს აგრეთვე კახეთის მთავარ ქალაქ თელავში მდებარე საგვარეულო, მამაპაპისეულ სახლს.

იოსებ ქოგულაშვილი

მეუღლე ციცო დემეტრაშვილი, შვილები ხათუნა, დათუნა, ძმა შოთა სხირტლაძე, შვილიშვილები ჯიმიკო, იაკო, გიორგი, საბა, რატი, ალექსანდრე, რძლები ვერიკო სხირტლაძე, ლალი ბარათაშვილი, ძმისწული გიორგი სხირტლაძე იუწყებიან

ჯიმი სხირტლაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 3, 4 XII, დაკრძალვა 5 XII, 14 სთ. გამოსვენება აკ. წერეთლის 77, კორპ „ვ“.

მეგობრები დიტო ტყეშელაშვილი, ოთარ წეროძე, მურთაზ მამისეიშვილი, იუზა გიორგაძე, დიანა ლორთქიფანიძე, გიული დავლიანიძე, ნათელა თევზაძე იუწყებიან უახლოესი მეგობრის

ჯიმი სხირტლაძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს.

თბილისის „ჯანმრთელობის ცენტრის“ თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ქეთევან ბენაშვილს დედის

მაყვალა ყოჩიაშვილის

გარდაცვალების გამო.

◎ ინფორმაცია

სუიციდი ღუდუშაურის კლინიკაში

ღუდუშაურის კლინიკის მე-6 სართულიდან 34 წლის მამაკაცი გადახტა და ადგილზე დაიღუპა.

როგორც მედინიუსს კლინიკაში განუცხადეს, პაციენტი კლინიკაში მწვავე პნევმონიისა და სუნთქვის უკმარისობის დიაგნოზით მკურნალობდა.

მამაკაცის გადახტომას კლინიკაში მის მწვავე ფსიქოზურ აშლილობას უკავშირებენ, რომელიც მედიკოსების ვარაუდით, დიაგნოზის გაგების შემდეგ განუვითარდა.

აღგზნებულ მდგომარეობაში მყოფი მამაკაცი მე-6 სართულზე ავიდა, საიდანაც ერთ-ერთი დაკეტილი პალატის კარები შეამტვრია და აივნიდან გადახტა.

რეკლამა მაჩაბლის ქ. №7.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 293-37-87

სულთათანა

ზაურ სოკრატის ძე არშბა

ჩვენი სამეგობროდან წავიდა კიდევ ერთი ღირსეული პიროვნება, გარდაიცვალა **ზაურ (მამული) არშბა**, ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახის შვილი — ბრწყინვალე მამულიშვილი, მოყვარული თავისი წინაპრების, ოჯახის, მეგობრების და საქმისა.

მამა — სოკრატ არშბა — ცნობილი ქირურგი-უროლოგი, მედიცინის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე; 1964 წლიდან სიკვდილამდე (1985 წ.) ღირსეულად განაგებდა საქართველოს ა.წულუკიძის სახელობის უროლოგიისა და ნევროლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს; განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი პროფესიონალური დამოკიდებულება საქმისადმი, ამავე დროს, სათუთი და თბილი ურთიერთობა ახალგაზრდობასთან და შვილების მეგობრებთან...

ზაურ არშბამ 1952 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა სოხუმის ვაჟთა პირველი საშუალო სკოლა. ასევე წარმატებით დაასრულა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი და ამავე ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტი.

ზ. არშბა 1958-1982 წლებში მუშაობდა საპროექტო ინსტიტუტ „საქქალაქმშენსახპროექტის“ სოხუმის ფილიალში — ინჟინრიდან დაწყებული ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობამდე, ხოლო 1982-1993 წლებში აფხაზეთის არქიტექტურისა და მშენებლობის ტექნიკური ცენტრის დირექტორი იყო.

ზ. არშბამ 1985 წელს ქ. მოსკოვში წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა არქიტექტურის კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი; გამოქვეყნებული აქვს 80-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაცია მხარის არქიტექტურის საკითხებზე. ზ. არშბა აფხაზეთის დამსახურებული არქიტექტორია. მას უზომოდ უყვარდა თავისი სოხუმი და ჩვენი საერთო აფხაზეთი; ყველანაირად ცდილობდა სათანადო წვლილი შეეტანა მხარის კეთილდღეობის საქმეში. მისი უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით დამუშავებულია სოხუმისა და ოჩამჩირის გენერალური გეგმების პროექტები, დასასვენებელი სახლების, სასტუმროებისა და სანატორიუმის პროექტები. ზ. არშბა ხელმძღვანელობდა სპეციალისტთა ჯგუფებს, რომლებიც იკვლევდნენ აფხაზური სოფლების ისტორიულ განაშენიანებას მის მიერვე დამუშავებული მეთოდიკის მიხედვით; ასევე გამოკვლეულია აფხაზეთის შავი ზღვისპირეთის და კურორტ „დიდი სოჭის“ რაიონის არქიტექტურის მრავალი კულტურული ძეგლი.

ზ. არშბა 1993-2010 წლებში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ქ. მოსკოვში, იყო რუსეთის ფედერაციის არქიტექტორთა კავშირის შემოქმედებითი სახელოსნოს ხელმძღვანელი.

ზ.არშბა საქართველოში დაბრუნდა 2010 წელს, მისი ერთგული მეუღლე მარინა დოხნაძე ფილოლოგია.

მოგონებანი უკვდავებას ჰგავს... მამული არშბას აფხაზურ-ქართული წარმოშობის იერი ჩანდა მაშინ, როდესაც მის მშობლიურ მხარეში ყოფნისას მასპინძლობის, მეგობრობისა და რაინდობის დღესასწაულს გვიწყობდა...



მოხდა წარმოუდგენელი რამ — სამშობლოსა და ოჯახის სიყვარულის, მეგობრობისა და ძმობის წესებით აღზრდილ თაობას ცის ლურჯი კამარა თავზე დაგვემხო და აფხაზეთის ულამაზეს მიწაზე საშინელი ძმათამკვლელი ომი დაიწყო. საქართველოს გაუჭირდა სიძულვილის ატმოსფეროში არსებობა. ეს განსაკუთრებით ტრაგიკული აღმოჩნდა მამული არშბასთვის. მისი საამაყო დისშვილი — გიორგი მიროტაძე — ბრწყინვალე ვაჟკაცი, ახალგაზრდა ექიმი, მოხალისედ წავიდა ორივე მხარის მეომართა დასაშოშმინებლად და გაეშურა ბრძოლის ველზე იმათ სამკურნალოდ. სამწუხაროდ, იგი პირველსავე დღეებში დაიღუპა აფხაზური მხრიდან გამოსროლილი ტყვიით, ამ უბედურებამ მამული არშბა სულიერად და ფიზიკურად გატეხა. მხიარული, ენერგიული, შემოქმედებითი იდეებით აღსავსე ჩვენი მამული გაქრა, მიინავლა...

იგი დააკლდა თავის დიდებულ ოჯახს, ნათესავებს, იგი დაგვაკლდა ჩვენც, მის მეგობრებს და კეთილისმსურველებს. ღრმად გვჯერა, რომ ზაურ (მამული) არშბას სახელი მუდამ იცოცხლებს და მისი დიდი სურვილი საქართველოს გამთლიანებისა აგვიხდება.

სამშენებლო ფაკულტეტის 1958 წლის მე-100 ჯგუფის კურსდამთავრებული მეგობრები

◎ ᲒᲕᲘᲠᲩᲔᲕᲔᲜ

ᲓᲘᲔᲢᲐ: 9 ᲛᲐᲠᲪᲕᲚᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲡᲐᲮᲓᲝᲛᲐᲓ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲔᲑᲚᲐᲓ

ᲒᲐᲮᲓᲝᲛᲘᲡ მსურველებმა და მათ, ვისაც ორგანიზმის ვიტამინებით გამდიდრება სურს, რაციონი მარცვლეულით უნდა გაამდიდრონ. ისინი იაფი ღირს, სასარგებლო და გემრიელია და რაც მთავარია, უამრავი სარგებლის მოტანა შეუძლიათ ორგანიზმისთვის.

უმეტესობა ამზადებს მხოლოდ წიწიბურას და შვრიის ფანტელის ფაფას („ჰერკულესი“), მაგრამ არსებობს სხვა, არანაკლებ სასარგებლო ფაფები. წონის დასაკლებად აირჩიეთ ნებისმიერი და მოიწყვეთ განტვირთვის დღე (ფაფის გარდა, მთელი დღის განმავლობაში ნებადართულია ხილისა და ბოსტნეულის ჭამა და წყლის სმა) ან 7 დღის განმავლობაში საუზმე შეცვალეთ ერთ-ერთი ფაფით.

1. ᲤᲔᲢᲕᲘ

ეს სასარგებლო მარცვლეული ხელს უშლის ორგანიზმში ცხიმის დაგროვებას და უფრო მეტიც, გამოაქვს იგი. აგრეთვე, გაგათავისუფლებთ წიდებისგან, გაგიმდიდრებთ ორგანიზმს მაგნიუმით, ფოსფორით, კალიუმით, გოგირდით, „პპ“, „ე“ და „ბე“ ჯგუფის ვიტამინებით. ყიდვისას დააკვირდით, რომ მარცვლეული მკვეთრი ყვითელი ფერის იყოს. რაც უფრო მუქია, მით სასარგებლოა. მოსახარშად აიღეთ 1 ჭიქა ფეტვი, დაასხით 3 ჭიქა წყალი, ხარშეთ მარცვლების დარბილებამდე. უკვე მზას შეგიძლიათ სეზამის მარცვლები, 1 ჩაის კოვზი სელის ზეთი ან ერთი მუჭა ქიშმიში დაუმატოთ.

2. ᲬᲘᲬᲘᲑᲣᲠᲐ

მიჩნეულია, რომ წიწიბურა ერთადერთი ეკოლოგიური მარცვლეულია, რადგან იგი ქიმიური დანამატების გარეშე მოჰყავთ. რკინის მაღალი შემცველობის გამო მას ანემიით დაავადებულ ადამიანებს უნიშნავენ. წიწიბურა მდიდარია „ბე“ ჯგუფის ვიტამინებითაც. იგი საუკეთესოა გახდომის მსურველთათვის, რადგან დიდხანს გინარჩუნებთ დანაყრების შეგრძნებას.

განტვირთვის დღე წიწიბურაზე: 250 გრამ წიწიბურას წინა საღამოს დაასხით მდუღარე წყალი და შეფუთული გააჩერეთ მთელი ღამე. მეორე დღეს მიღებული ფაფა მიირთვით მწვანილის სალათასთან ერთად. არ დაგავიწყდეთ წყლისა და უშაქრო ჩაის ან ყავის დალევა.

3. ᲮᲝᲠᲑᲐᲚᲘ

ხორბლის ფაფა ითვლება დიეტურ კერძად, რადგან ორგანიზმიდან გამოაქვს ზედმეტი ცხიმი და აქვეითებს ქოლესტერინს. ხორბლისგან დამზადებული კერძი გაგიუმჯობესებთ კანის, თმისა და ფრჩხილების მდგომარეობას. იგი ანელებს დაბერების პროცესს. ამასთანავე, იგი დაბალკალორიულია და გახდომაშიც დაგეხმარებათ.

4. ᲛᲐᲜᲐᲜᲘᲡ ᲑᲣᲠᲦᲣᲚᲘ

მისი გემო ბავშვობიდან გვახსოვს, მაგრამ ყველას არ უყვარს. ცოტა ხნის წინათ გამოქვეყნდა სამედიცინო სტატია იმის შესახებ, რომ მანანის ბურღული, კალორიების გარდა, სასარგებლოს არაფერს შეიცავდა. სინამდვილეში, იგი მდიდარია კალიუმით, „ე“ და „ბ1“ ვიტამინით. მისი ჭამა არ შეიძლება მათთვის, ვისაც გლუტეინზე ალერგია აქვს. თუ გახდომას მანანის ბურღულზე აპირებთ, მოამზადეთ იგი წყალზე და მიირთვით უშაქროდ, ხილის ან ჩირის დამატებით.

5. ᲨᲕᲠᲘᲘᲡ ᲤᲐᲜᲤᲔᲚᲘᲡ ᲤᲐᲤᲐ

„პპ“, „ე“ და „ბე“ ჯგუფის ვიტამინებით მდიდარი ფაფაა. აგრეთვე, შეიცავს მაგნიუმს, კალციუმს, რკინას, ნატრიუმსა და თუთიას. გახდომისთვის მოამზადეთ „ჰერკულესი“ წყალზე. დაუმატეთ დარიჩინი, რომელიც აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას და 1 ჩაის კოვზი თაფლი ან ცოცხალი ხილი (ყურძნისა და ბანანის გარდა). იგი გაგისუფთავებთ ორგანიზმს და გაგიუმჯობესებთ კუჭის მოქმედებას.

6. ᲫᲔᲠᲘ

მდიდარია ვიტამინებითა და ფოსფორით, რომელიც აუცილებელია მეტაბოლიზმის გასაუმჯობესებლად. კალიუმის და კალციუმის შემცველობით მას ბადალი არა აქვს. იგი დიდი ხნით დაგანაყრებთ, მოგიწესრიგებთ სისხლში შაქრის დონეს; საუკეთესოა წონის დასაკლებად დიაბეტით დაავადებული ადამიანებისთვის.

7. ᲑᲣᲠᲦᲣᲚᲘ

მხოლოდ მასშია ლიზინი, ამინომჟავა, რომელიც კოლაგენის წარმოქმნას უწყობს ხელს და სახის კანს ახალგაზრდობას უნარჩუნებს. გახდომის მსურველებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ მომზადებისას ბურღული სამჯერ მატულობს. საღამოს ბურღული კარგად გარეცხეთ, დაასხით წყალი და მთელი ღამე გაჩერეთ; დილით მოხარშეთ შაქრისა და მარილის გარეშე. თუ განტვირთვის დღის მოწყობას ბურღულზე აპირებთ, შედეგს მომენტალურად შეამჩნევთ, რადგან მას ორგანიზმიდან გამოაქვს ზედმეტი სითხე, მოგიხსნით შეშუპებას.

8. ᲡᲘᲛᲘᲜᲓᲘ

სიმინდის ფქვილის ფაფას მხოლოდ ბავშვებს აჭმევენ, არადა, იგი სასარგებლოა გულ-სისხლძარღვთა სისტემისთვის. აგაცილებთ ნაწლავების დაბინძურებას სხვადასხვა საკვებით. გარდა ამისა, მას კარგად ითვისებს ორგანიზმი და არც დიდი კალორიულობით გამოირჩევა.

9. ᲑᲠᲘᲜᲯᲘ

წონის დასაკლებად უმჯობესია მიირთვათ ყავისფერი ბრინჯი. ამასთანავე, მისი მოხარშვისას, ადუღებულ წყალში უნდა დაუმატოთ 1 ჩაის კოვზი ქოქოსის ზეთი და მიირთვათ ცივი. საქმე იმაშია, რომ ლიპიდი, რომელიც დიდი რაოდენობითაა ქოქოსის ზეთში, ცვლის სახამებლის სტრუქტურას ბრინჯში და ამით მისი კალორიულობა მცირდება.

www.marao.ge

ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ
293-37-87
ᲛᲐᲩᲐᲑᲚᲘᲡ Ქ. №7.

ᲞᲠᲘᲜᲪᲔᲡᲐ ᲛᲐᲠᲘ-ᲡᲝᲚ ᲓᲔ ᲚᲐ ᲢᲣᲠ Დ' ᲝᲕᲔᲠᲜᲘ (ᲛᲐᲠᲪᲮᲜᲘᲕ) ᲓᲐ ᲫᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲜᲘᲜᲝ ᲒᲝᲪᲐᲫᲔ

◎ ᲪᲘᲜᲪᲮᲐᲚᲘ ᲐᲜᲔᲙᲓᲝᲢᲔᲑᲘ

— **რᲝᲑᲝᲠ** მიდის შენი საქმეები სკოლაში? — ეკითხება მამა მიხოს.

— შესანიშნავად! მეხუთე კლასთან კონტრაქტი კიდევ ერთი წლით გაგრძელდა!

* * *

ᲫᲛᲐᲠᲘ შემოდის სახლში და ხედავს გაშლილ მაგიდას.

— ძვირფასო, რა ხდება, რაიმე დღესასწაული გვაქვს? — ეკითხება იგი ცოლს.

— დიახ, საყვარელო, სრულწლოვანებას აღვნიშნავთ.

— ვის სრულწლოვანებას?

— ჩემი ქურქისა. იგი 18 წლის გახდა.

* * *

— ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ, წუხელ მთელი ღამის განმავლობაში ნატაშას ვის ეძახდი? — ეკითხება ცოლი ქმარს.

— შენ მაგას არ იცნობ. სიზმარში გავიცანით ერთმანეთი.

* * *

— ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ სჭირდება ადამიანს 12 მეტრი სიგრძის ნაწლავები?

— რათა ცხელი ჩაით უკანალი არ დაეწვას.

◎ ᲙᲝᲜᲢᲐᲥᲢᲔᲑᲘ

ᲛᲐᲓᲚᲘᲔᲠᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲔᲡᲐᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲓᲐᲜ

ᲗᲕᲔᲜᲐᲮᲔᲕᲠᲘᲡ წინათ თბილისში, ბოტანიკურ ბაღში ჩატარდა საერთაშორისო ფორუმი, რომელსაც სტუმრობდა საფრანგეთის ბაღებისა და პარკების ვიცე-პრეზიდენტი, პრინცესა **ᲛᲐᲠᲘ-ᲡᲝᲚ ᲓᲔ ᲚᲐ ᲢᲣᲠ Დ' ᲝᲕᲔᲠᲜᲘ** (ფორუმი დაწვრილებით გააშუქა ჩვენმა გაზეთმა).

გუშინ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის დირექტორმა, ქალბატონმა **ᲜᲘᲜᲝ ᲒᲝᲪᲐᲫᲔᲛ** საფრანგეთის ბაღებისა და პარკების ვიცე-პრეზიდენტის, პრინცესა მარი-სოლ დე ლა ტურ დ' ოვერნისგან წერილი მიიღო, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

ძვირფასო ნინო,

გარკვეული დრო გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში შესანიშნავი ფორუმი ჩატარდა და ბოდიშს გიხდით, რომ ამდენი დრო დამჭირდა თქვენთვის მადლობის გადასახდელად (მომიწია თქვენი მისამართის გამორთმევა თინათინისთვის, რადგან დავკარგე თქვენი სავიზიტო ბარათი და ელფოსტა არ გამოიგზავნა!) მსურს, მოგილოცოთ ასეთი საინტერესო შეხვედრის გამართვა, მრავალფეროვანი მოხსენებებითა და იდეების გაცვლა-გამოცვლით. ჩემთვის დიდი პატივი იყო ამ ღონისძიების წევრობა და ამდენ კარგ სპეციალისტთან შეხვედრა.

საქართველო უმშვენიერესი აღმოჩენა იყო ჩემთვის. ვიცოდი, რომ ეს იყო ლამაზი ქვეყანა, მაგრამ ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ყველაფერი შემიყვარდა, დაწყებული თქვენი ულამაზესი ბოტანიკური ბაღიდან, დიდებული ხედებით ხეობებზე და ტაძრები, როგორიცაა მცხეთაში. მაგრამ ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა თქვენი მეგობრების გუნდმა, რომელმაც თქვენი თხოვნით ჩვენთვის იმღერა. ქართველების მიერ ქართული სიმღერის მოსმენა ჩემი ოცნება იყო და დიდ მადლობას გიხდით მისი ახდენისათვის. ძვირფასო ნინო, ყველაფერ საუკეთესოს გისურვებთ თქვენს საქმიანობაში და კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას სტუმართმოყვარეობისთვის. გულთბილი მოკითხვა. მარი-სოლ დე ლა ტურ დ'ოვერნი.

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ᲛᲐᲩᲐᲑᲚᲘᲡ Ქ. №7
ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 66434

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ 599 53-76-16;
ᲠᲣᲡᲚᲐᲜ ᲠᲣᲡᲘᲐ 599 17-21-21;
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲫᲝᲑᲣᲚᲘᲐ 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲗᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ